საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, ცოგცინც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუიოებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე ეხაძაგლესია.

ოთხშაბათი, 15 ივნისი. 2022 წ. №74 (9412) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

კონდოლიზა რაისისა და ჯო ბაიდენის „აღსარებები“



③

შეერთებული შტატები საქართველოს ზურგს არ შეაქცევს!

„რუსული დეზინფორმაციის მანძანას სჯერა, რომ აბსურდული ტყუილების მრავალჯერ გამეორებით რეალობა შეიცვლება და ისტორიას გადაწერენ.

ფაქტები კი ასეთია:

1991 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოში;
2008 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოში;
2014 წელს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში;
2022 წელს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში.

ამ და სხვა საომარი მოქმედებების დაწყებას რუსეთი აბრალებს ყველას, საკუთარი თავის გარდა. მათ თუ დავუჯერებთ, უკრაინაში ომი დაიწყო თავად უკრაინამ, ნატომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს — ებრაელმა ნაციისტებმა.

დასავლეთის ერთობლივი მხარდაჭერით საქართველო და უკრაინა ფეხზე დგას, ინარჩუნებს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. რაც არ უნდა აღიზიანებდეს რუსეთს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, შეერთებული შტატები თავის პარტნიორებს ზურგს არ შეაქცევს. დასავლეთი ასეთი ერთიანი არასდროს ყოფილა“, — ნათქვამია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

რომის პაპი:

შესაძლოა ომი პროვოცირებული იყო, მაგრამ რუსეთის სისასტიკეს ვგმობ!..

„როიტერის“ ცნობით, რომის პაპს გასულ თვეს ჰქონდა საუბარი იეზუიტური მედიის რედაქტორებთან, რომლის ტექსტი ორი დღის წინ იქნა გამოქვეყნებული. მედიის ცნობით, პაპმა ფრანცისკემ გააკრიტიკა რუსეთი უკრაინაში ჩადენილი სასტიკი, ულმობელი, საზარელი ქმედებების გამო და შეაქო უკრაინელების მამაცური ბრძოლა გადარჩენისთვის. თუმცა ამასთან აღნიშნა, რომ ომი შესაძლოა, რაღაც გზით პროვოცირებული იყო.

როგორც მედია წერს, რომის პაპმა განაცხადა, რომ რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ვლადიმერ პუტინი საკუთარ ჯარებს გაგზავნიდა უკრაინაში, პონტიფიკი შეხვდა სახელმწიფოს მეთაურს, რომელმაც გამოთქვა შეშფოთება, რომ ნატო იმგვარად მიუახლოვდა რუსეთს, რომ შესაძლოა, ომი გამოიწვიოს.

„ჩვენ ვერ ვხედავთ მთელ დრამას, რომელიც იშლება ამ ომის უკან, რომელიც შესაძლოა, რაღაც გზით პროვოცირებული იყო ან არ იქნა აღკვეთილი“, — განაცხადა პაპმა ფრანცისკემ.

„როიტერის“ ინფორმაციით, რომის პაპმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ჯარების სისასტიკის დაგმობისას არ უნდა იქნას დავიწყებული არსებული რეალური პრობლემები, თუ მათი გადაჭრის სურვილი არსებობს. მისი თქმით, სამხედრო მრეწველობა არის იმ ფაქტორებს შორის, რომელიც ომის გაჩაღებას სტიმულს აძლევს.

ირაკლი ღარიბაშვილი

რუსეთ-უკრაინის ომის კი არა, დასავლური „დემოკრატიის“ უნდა გვეშინოდეს! ②

წალკის კანიონზე 240-მეტრიანი შუშის ხიდი გაიხსნა

ძველმო ძართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, დაშბაშის კანიონზე 240-მეტრიანი შუშის ხიდი გაიხსნა. გახსნის ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და ისრაელელი ინვესტორები ესწრებოდნენ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, წალკის კანიონზე არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა შეიქმნა.

„მადლობა კომპანია „კასლანდს“, რომელმაც 120 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა და შექმნა 250 სამუშაო ადგილი, ვულოცავ ამას წალკას და მთელ ქვეყანას. ჩვენი მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და ამავე დროს ეკოტურიზმის საერთაშორისო სტანდარტებით განვითარება, ეს უნიკალური ადგილი არის ამის ნათელი მაგალითი, როგორ მოხდა შერწყმა ერთი მხრივ, დაცვა ჩვენი მემკვიდრეობის და მეორე მხრივ, ასეთ თანამედროვე მსოფლიო დონის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ძალიან გვიხარია, რომ ამ პროექტით დაინტერესდა ჩვენი მეგობარი სახელმწიფო ისრაელი და ებრაული კომპანია და ასევე მინდა, აღვნიშნო, ეს პროექტი წაახალისებს და ხელს შეუწყობს კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული სერვისების განვითარებას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

უნიკალური კომპლექსის დამთვალიერებლებს შთამბეჭდავი სანახაობა ელოდებათ — პანორამული გადასახედები, ლამაზი ხედები, კასკადურ ჩანჩქერებამდე მიმავალი ბილიკები, ვიზიტორებისთვის კოტეჯები, ხიდის შუაში 200 მეტრის სიმაღლეზე მოწყობილი ორიგინალური ფორმის კაფე. კომპლექსი ვიზიტორებს 15 ივნისიდან უმასპინძლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი, ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი

გოჩა ჩოგოვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მისამართი: ნინო რამიშვილის | ჩიხი, №7, | სართული;
დაკრძალვა; ხუთშაბათს, 16 ივნისს, 15 საათზე.

იხ. 11 გვ.

რუსეთ-უკრაინის ომის კი არა, დასავლური „დემოკრატიის“ უნდა გვეშინოდეს!

ამ სიტყვებში იმდენი სიმართლეა, გაბრაზებულ პრემიერს ცხენის შეკაზმვაც კი არ დასჭირდება!

„ნაციონალური მოძრაობა“ მთელი თავისი სატელიტებით, ეს მეხუთე კოლონა 24 საათის განმავლობაში ებრძვის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფოებრიობას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 13 ივნისის სხდომაზე ისაუბრა.

მთავრობის მეთაურმა უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადება გაიხსენა და აღნიშნა, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა „ნაციონალურ მოძრაობასაც“ სურდა.

„უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თქვა, რომ მათი სურვილი იყო, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, აქვე დაამატა, რომ არა მარტო ჩვენი ქალები და ბავშვები უნდა იღუპებოდნენ, ეს ომი სხვაგანაც უნდა გადავიდესო, საქართველოში უნდა გადმოსულიყო, მათი გეგმის მიხედვით. გავიხსენოთ, ვინ იყო ამ კამპანიაში ჩართული, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი თავისი სატელიტებით, ეს მეხუთე კოლონა, რომელიც 24 საათის განმავლობაში ებრძვის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფოებრიობას. გახსოვთ ალბათ მათი კოორდინირებული მოქმედებები, დაწყებული მას შემდეგ, რაც მე გავაკეთე ცნობილი განცხადებები ომის დაწყებიდან მალე, რომელიც სხვათა შორის ამერიკის ლიდერით დაწყებული, ევროპელმა ლიდერებმა, ყველამ თითქმის ანალოგიური რამ განაცხადეს. აქ ჩვენ აცდენა არ გვაქვს არც მოლოდინებთან, არც პროგნოზებთან“...

* * *

„წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობას არ გამოეჩინა წინდახედულება, რომ არ გაეტარებინა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების პოლიტიკა, მოქალაქეების სასარგებლო პოლიტიკა და რაღაც გაუაზრებელი ემოციური გადაწყვეტილება მიგვეღო, მოგვესმინა ჩვენი ქვეყნის მტრებისთვის, შიდა მტრებისთვის, რომლებიც ითხოვდნენ ქვეყნის ჩართვას პირდაპირ ომში, ვინმეს აქვს ილუზია, რომ დღეს ქვეყანაში რაიმე ეკონომიკური ზრდა და ინვესტიციები კი არა, აღარაფერი იქნებოდა? მოგეხსენებათ, ეროვნული ვალუტა გამყარებულია და ეს ტენდეცია გრძელდება. ეს ყველაფერი თუ ვინმეს წარმოუდგენია, რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ახლა ჩვენ დავუწესებდით ეკონომიკურ სანქციებს. რას ნიშნავდა, რომ უნდა შეგვწყვიტა ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან. მილიონი ჩვენი თანამოქალაქე ცხოვრობს რუსეთში, ვინმეს საერთოდ ახსენდება ეს ადამიანები, როგორ შრომობენ, როგორ მოღვაწეობენ იქ, რა ბედი ელით. აღარ ვსაუბრობ იმაზე, 4 მილიონი ჩვენი მოქალაქე, რომელიც დღეს ქვეყანაში ცხოვრობს, იმათ რა ბედი ელით, რა მოხდებოდა მათ წინააღმდეგ.

ასევე მინდა, შეგახსენოთ, მაგალითად, როდესაც ჩვენი შიდა უპასუხისმგებლო ოპონენტები გვაკრიტიკებდნენ რაღაც გარკვეული რეზოლუციების გამო, ეს იყო რძესთან და ყველთან დაკავშირებით. ამაზე ათასი ცინიკური განცხადებები გაკეთდა. ევროკავშირი რუსეთს ყოველდღე უხდის ერთ მილიარდ დოლარს. ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთში შევიდა 90 მილიარდი დოლარი ვაჭრობის შედეგად, რომელიც რუსეთს დღემდე აქვს ევროპასთან. ჩვენ არ გვაქვს ეროვნული ინტერესები? თუ ჩვენთან არ ცხოვრობენ ადამიანები? თუ ქართველმა ხალხმა ისევ უნდა მოითმინოს, დაიჩაგროს, ომში ჩაებას, დავკარგოთ ტერიტორიები, დავკარგოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა. მე ამ კითხვებს ღიად ვსვამთ და ამ კითხვებს კიდევ უფრო ხმამაღლა დავსვამთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ველოდებით სამართლიან გადაწყვეტილებას“...

* * *

„დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოგვაქვს. 630 დევნილ ოჯახს საკუთრებაში გადავცემთ საცხოვრებელ ბინებს, ასევე მიწის ნაკვეთებს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში. მათ შორის რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, თბილისში, გარდაბანში, გორში, ზუგდიდში, ქარელში, მცხეთაში, ხონში, ბაღდათში, აბაშაში, ხობში, ხაშურსა და ზესტაფონში. ჯამში არის 630 დევნილი ოჯახი, რომელსაც გადაეცემათ, დაუკანონდებათ სახელმწიფო ქონება. ეს მნიშვნელოვანი საკითხი არის, რომელიც ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ბატონმა ზურაბ აზარაშვილმა მოამზადა და მთავრობამ გადაწყვიტა“...

* * *

ძალბატონი ლომჯარია საერთოდ ვის უნახავს სააკაშვილის დროს? მაშინ სხვა პოზიციაზე მუშაობდა, ვინმეს გახსოვთ საერთოდ, გამოსულიყო და საჯაროდ დაეგმო რაიმე, ადამიანების წამება, ტანჯვა, გაუპატიურება, მკვლელობები, ბიზნესის დატერორება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. ამასთან, ღარიბაშვილის თქმით, კეზერაშვილის სახით ბიზნესის მთავარი რეკეტიორი ჩაწერეს ევროპარლამენტის რეზოლუციაში და ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის.

„სახალხო დამცველმა, ქალბატონმა ლომჯარიამ საჯაროდ თქვა, რომ სირცხვილს მირჩევნიაო, ბომბებისგან მიღებული ცეცხლი და წვა მივიღოთო. უკაცრავად და, ვინ უნდა მიიღოს? ქალბატონი ლომჯარია საერთოდ ვის უნახავს სააკაშვილის დროს? ვინმეს გახსოვთ საერთოდ, სახალხო დამცველი გამოსულიყო, და მაშინ სხვა პოზიციაზე მუშაობდა, საჯაროდ დაეგმო რაიმე, ადამიანების წამება, ტანჯვა, გაუპატიურება, მკვლელობები, ბიზნესის დატერორება“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

„ჩვენს მოქალაქეებს მინდა შევახსენო, რამდენიმე დღის წინ მიიღეს რეზოლუცია ევროპარლამენტში, ამ რეზოლუციის მთავარი ინიციატორი იყო „ევროპის სახალხო პარტია“. ვინ არის ეს პარტია? ამ პარტიის შვილობილი პარტია და მათი მთავარი მოკავშირე არის ისევ და ისევ „ნაციონალური მოძრაობა“. მე პარლამენტში ღიად ვთქვი და დავდე ბრალი, რამდენიმე გვარიც ვახსენე, ვთქვი, რომ ეს უპასუხისმგებლო, მავნებელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები დადიან ევროპაში და ათას სისულელეს ავრცელებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. აქ საუბარი არ არის მთავრობაზე, საუბარია სახელმწიფოზე. ჩვენ ვიხილეთ მორიგი მტკიცებულება, ამ უპასუხისმგებლო, სამარცხვინო რეზოლუციის მიღება პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რაც მე ვთქვი. ერთი მხრივ, გამოვიდნენ, შეიცხადეს, ამას როგორ გვაკადრებთო. გახსოვთ, როცა უვიზო რეჟიმზე ვმუშაობდით, პირდაპირ ეხვეწებოდნენ, მუხლის ჩოქებზე დაიოდნენ, რომ არ მიეცათ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი, დაესაჯათ ჩვენი ხალხი, ქვეყანა. ახლა მოახერხე ის და არა მხოლოდ მათ, არავის აქვს ილუზია, რომ ამ საცოდავებს ამდენი შეუძლიათ, მაგრამ ფაქტია, რომ როლი შეასრულეს, ფაქტია, რომ ის სამარცხვინო ბრალდებები ამათი მიწოდებულია. თუ ამ ადამიანებს რეალურად გული შესტკივათ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, მაშინ რატომ არ მოუწოდეს თავის პარტიას, რომ ასეთი სამარცხვინო, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული რეზოლუცია არ მიეღოთ ევროპარლამენტში. ჩვენ აქ კითხვები არ გვაქვს, ყველას კარგად ესმის ყველაფერი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ შეძლო ქვეყანა ომში ჩაეთრია და ახლა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაზიანებას ცდილობენ.

„გახსოვთ, სანქციებზე მიერთებას ითხოვდნენ, მერე მოითხოვეს ჩარტერული რეისებით გაგვეშვა მოხალისეები, ეს სახელმწიფოს პირდაპირი ჩართულობა იყო ომში, მაშინ როცა მთელი მსოფლიო საჯაროდ მოუწოდებდა თავის მოქალაქეებს, რომ არ მიიღოთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობაო. შემდეგ გახსოვთ აქციების გამართვა და ახლა უკვე, სრულიად გაწბილებულები, როცა ქაოსის შექმნით ომში ქვეყნის ჩართვა ვერ შეძლეს, ახლა ასეთი მავნებლობით და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით ცდილობენ, დააზიანონ მთავარი, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ჩვენ მოლდოვას და უკრაინას რომ ვუსწრებთ ათი თავით, ყველა მიმართულებით, ყველამ კარგად იცის, იციან ევროპელებმა. იმ რეიტინგებს ჩვენ რომ გვიწერენ, ღია მმართველობას, მედია თავისუფლებას, გამჭვირვალობას, ვინ ადგენს ამ რეიტინგებს? საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აფასებენ რეფორმების მიხედვით ქვეყანას. ამ მიღწევების მიხედვით ვუსწრებთ უკრაინასაც და მოლდოვასაც, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მაშინ რა ხდება? რა განცდაზეა საუბარი, ამბობენ, რომ განცდაა, თითქოს ქვეყანაში არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, რაც სრული აბსურდია. თურმე მედია თავისუფლებას აქვს პრობლემა“...

* * *

„რეზოლუციას მე ვაპროტესტებ, აკლდა მეგის ქარდავა, მთავარი ჯალათი, სააკაშვილის სახე, რომლის მკვლელების ბრიგადები აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ჩვენს მოქალაქეებს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამასთან, პრემიერმა აღნიშნა, რომ კეზერაშვილის სახით ბიზნესის მთავარი რეკეტიორი ჩაწერეს ევროპარლამენტის რეზოლუციაში.

„კეზერაშვილის სახით ბიზნესის მთავარი რეკეტიორი ჩაწერეს ამ სამარცხვინო რეზოლუციაში. შევახსენებ EPP-ის, მას შემდეგ, რაც იგი წავიდა თანამდებობიდან, ერთი მილიარდი დოლარის ბრუნვა ჰქონდა მის კომპანიას. საიდან, მეგობრებო? ჯარის ძარცვიდან, ბიზნესის რეკეტისგან და მედია თავისუფლება რომ არის ქვეყანაში, ვინმეს რამე კითხვა აქვს ევროპასა და ამერიკაში? ყველამ ყველაფერი ძალიან კრგად იცის“...

* * *

„არც ერთი ქვეყანა არ არის იდეალური, მათ შორის არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ არის იდეალური. ასე რომ, ის პროგრესი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, არის როგორც შავი და თეთრი, ასეთი მკვეთრი განსხვავება არის, რაც ჩავიბარეთ და რა შედეგი დავდეთ ამ ცხრა წლის განმავლობაში. ვალდებულად მიმაჩნია, ჩვენს მოქალაქეებს ეს ყველაფერი ანგარიშის სახით ჩავაბარო და შევახსენო, მას შემდეგ, რაც სრული ფიასკო განიცადეს, ამ მეხუთე კოლონამ და ქვეყნის მტრებმა, მიზნად დაისახეს, რომ სტატუსთან დაკავშირებით, ჯერ დაველოდოთ, რა გადაწყვეტილება იქნება. ვინმეს თუ ეკუთვნის, ეკუთვნის საქართველოს და შემდეგ ეკუთვნის უკრაინასა და მოლდოვას. რომ იძახიან, უკრაინა ომშია და ამის გამო მას უნდა მიენიჭოს, უკაცრავად, თუ ომით განისაზღვრება სტატუსის მინიჭება, ჩვენ ომი არ გვინდა, მეგობრებო, ჩვენ ვითხოვთ დამსახურებულ სტატუსს, რომელიც ქართველმა ხალხმა დაიმსახურა თავისი 30-წლიანი ბრძოლით, დემოკრატიის მშენებლობის გზაზე და ბოლო ცხრა წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების გზაზე. ჩვენ მხოლოდ ამას ვითხოვთ. ეს ვთქვი მე საჯაროდ დავოსშიც, ბრატისლავაში, ბრიუსელში, ყველგან, რომ ჩვენ არაფერს ვითხოვთ განსაკუთრებულს და დაუმსახურებელს, ჩვენ ვითხოვთ დამსახურებულ სტატუსს, თუ რა თქმა უნდა, გავიმეორებ იმავეს, რაც ვთქვი რამდენიმე დღის წინ, თუ ეს გადაწყვეტილება არ იქნება სამართლიანი, ჩვენ მოსახლეობას, ჩვენს ხალხს ყველაფერს ავუხსნით დეტალურად, რა იყო და რა იყო მთავარი გამომწვევი მიზეზები, რის გამოც, თუნდაც ის სამარცხვინო რეზოლუცია იქნა მიღებული“...

* * *

მოგეხსენებათ, მას შემდეგ, დაწყებული კონტრაბანდული საქონელის შემოგზავნით, აქ რევოლუციის მოწყობა რომ უნდოდათ, არ გამოუვიდათ და აღმოჩნდა ციხეში, შემდეგ გახსოვთ, ჩამოიყვანეს ერთ-ერთი ცნობილი რევოლუციონერი, რევოლუციის დამფინანსებელი და იდეოლოგი ბატონო აკერმანი. ღიად ჩამოვიდა, რომ მოემზადებინა ეს ჩვენი დესტრუქციული მეხუთე კოლონა, რათა მოეწყოთ მშვიდობიანი რევოლუცია, მშვიდობიანი გადატრიალება ქვეყანაში. ამ კაცს რა მოუვიდა შემდეგ, ეგ ცალკე თემაა. მოკვდა ის კაცი, პატრონი მოუკვდათ ამ დესტრუქციულ ძალებს, მაგრამ მთავარია, რომ ახლა, ამ ყოველგვარი ჩავარდნის შემდეგ, როცა ვერც ომში ჩააბეს ქვეყანა, ვერც ვერაფერი გააკეთეს, უნდათ, 20 ივნისს გამართონ აქცია, თითქოს ევროკავშირის რაღაც ინტეგრაციისა და სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ყველას შევახსენებ, ვინ ითხოვს ამ აქციას, ვინ ატარებს, შემთხვევით ის ძალა ხომ არა, რომელიც აქ ადამიანებს კლავდა, აუპატიურებდა, აწამებდა და ქვეყნის ტერიტორიებს მოღალატეობრივად ურიგებდა ოკუპანტ ქვეყანას და ომის შემდეგ, რომელმაც ჩააბარა ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს, ცალმხრივად გაუქმდა შემდეგ უვიზო რეჟიმი და პირადად ეს ბოროტი მასხარა ხვდებოდა საზღვარზე რუსეთის მოქალაქეებს. აი, ეს ძალა ითხოვს თურმე ევროკავშირთან სტატუსის მინიჭებას, რომელსაც არაფერი გაუკეთებია საერთოდ, არაფერი გაუკეთებია დემოკრატიული რეფორმების გატარების თვალსაზრისით. მხოლოდ ჩვენ გავაკეთეთ ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი და ახლა აპლიკაცია, რომელიც ჩვენ შევიტანეთ. ასე რომ, მინდა, ყველა გავაფრთხილო, ვინმეს ილუზია არ ჰქონდეს, ვინმე არ წამოეგოს ამ პროვოკაციას. ჩვენ არც ერთ უკანონო ქმედებას არავის არ ვაპატიებთ. ჩვენ, მთავრობა კანონით მონიჭებული უფლებითა და ძალით დავიცავთ ჩვენი მოქალაქეების მშვიდობასა და ქვეყნის სტაბილურობას“...**

* * *

„ჩვენამდე არაფერი ევროპული ქვეყანაში არ ხდებოდა. ეს იყო წმინდა, კლასიკური დიქტატორული, ავტორიტარული რეჟიმის გამყარება ქვეყანაში, რომელიც ეფუძნებოდა ხალხის ჩაგვრას, წამებას, მკვლელობას და ა.შ. არ უნდა ყოფილიყო არაფერი თავისუფალი. და მთავარი, 2017 წელს ჩვენმა პარტიამ კონსტიტუციაში ჩაწერეთ და განვსაზღვრეთ, რომ საგარეო-პოლიტიკური კურსი არის ევროატლანტიკური. ეს არა მხოლოდ ჩაწერეთ, არამედ რეალური, ხელშესახები შედეგები მოვუტანეთ ქვეყანას და დღეს გამოდიან და ამბობენ: „თუ არ მივიღებთ სტატუსს, ეს იქნება მთავრობის პასუხისმგებლობა“. არც ერთ შემთხვევაში, მეგობრებო. მთავრობამ გააკეთა მაქსიმუმი. დანარჩენი არის სამუშაო პროცესი“!..**

13 ივნისი, 2022 წ.

კონდოლიზა რაისი 2008 წლის ომთან დაკავშირებით:

„ჩვენ ვეუბნებოდით სააკაშვილს, რომ რუსეთი ცდილობდა მის პროვოცირებას. ჩვენ ვაფრთხილებდით მას, არ აჰყოლოდა ამ პროვოკაციას, მაგრამ რუსებმა ეს შეძლეს და ომი დაიწყო. ასეთ დროს ჩვენ ყოველთვის ცუდ მდგომარეობაში ვვარდებით. შეერთებული შტატები არ იძნებოდა მზად ეომა საქართველოს გამო რუსეთთან“.

ჯო ბაიდენი უკრაინის ომზე (საამიოდე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია):

„ბევრს ეგონა, რომ ვაზვიადებდი, როცა რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ვსაუბრობდი. პუტინი აპირებდა საზღვრის გადაკვეთას და ეს ეჭვგარეშე ასე იყო. ზელენსკის არ სურდა ამის მოსმენა და არც ბევრ სხვას. მე მესმის, რატომ არ სურდათ ამის მოსმენა, მაგრამ ის შეიჭრა“.

კონდოლიზა რაისისა და ჯო ბაიდენის „აღსარებები“

ისტორია მეორდება

სათაურში გამოტანილ სიტყვებში 2008 და 2022 წლებში განვითარებულ მოვლენებს შორის სრული შინაარსობრივი თანხვედრა არ მიგულისხმია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც იოლად ჩანს. ვფიქრობ, **გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია ის კავშირი, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში განვითარებულ მოვლენებსა და უახლესი ისტორიის ხსენებულ ორ ფაქტს შორის არსებობს.**

იმ ისტორიის განმეორებას ვგულისხმობ, კაცობრიობის ყველაზე დიდი გამოცდის, ყველაზე დიდი არჩევანის დღეს, მრავლისშემძლე მმართველმა რომ პასუხისმგებლობისგან „ხელები დაიბანა“.

* * *

კონდოლიზა რაისისა და ჯო ბაიდენის „აღსარებებში“ ყველაფერი, კომენტარის გარეშეც, მძიმედ და მრავლისმეტყველად გამოიყურება, მაგრამ... ჩემო მკითხველო, მეც ხომ მაქვს უფლება, მქონდეს ჩემეული „აღქმები“?

ჰოდა, იმას მოგახსენებდით,.. რა ვქნა და, **საკაშვილსაც და ზელენსკისაც, დიდი პროექტის — „მსოფლიოს ახალი გადანაწილება“ — უმცირეს ჭანჭიკებად „აღვიქვამ“.** საქართველოშიც და დარწმუნებული ვარ, უკრაინაშიც, **ყველა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ეჭვი არავის ეპარება, რომ იმხელა პასუხისმგებლობის ამღები თავის თავზე, რომ ათასჯერ აღმატებულ მონსტრთან ომში ჩაბმულიყო, არც ერთი იყო და არც მეორე.** ამგვარ მოცემულობაში თავისთავად შეგიპყრობს სხვა ეჭვი, რომ მთლად ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე, აქ კიდევ რაღაც უნდა იმალებოდეს.

ბატონი ბაიდენის განცხადებით დავიწყებ...

მერე? მერე, ბატონო პრეზიდენტო, რომ აფრთხილებდით, მერე რა,.. რა ურჩიეთ? რა გავიგოთ, როცა სტრიქონებს შორისაც არ იკითხება, თუ როგორი იყო თქვენი მამაშვილური დარიგება, რა იყო თქვენი შეთავაზება? **თქვენი განცხადებიდან მხოლოდ ერთადერთი დასკვნაა ღია და აშკარა, რომ პასუხისმგებლობის მთელ ტვირთს შავ დღეში მყოფ ზელენსკის ჰკიდებთ...** რატომ, რისთვის?.. შეჭრაზე საპასუხო რეაქცია არ უნდა ჰქონოდა და ლუგანსკის, დონეცკისა და ყირიმის დამოუკიდებლობა პირდაპირ უნდა ეღიარებინა, თუ?.. თუ?.. თუ?.. როგორც ქუთაისის პატრულის თანამშრომელი იტყოდა — „ვერ გევიგეთ?!.“

ხუმრობა იქით იყოს და... მსოფლიოში სამართლიანობის დაცვაზე ლიდერობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს პრეზიდენტო, **ბატონო ბაიდენ, ამ კითხვებზე პასუხების გაცემა, ვშიშობ, აუცილებლად მოგიწევთ, რასაკვირველია, პასუხისმგებლობის გარეშე, თქვენ ზევითა ხართ და უკრაინელი ხალხი ქვევით, მაგრამ მაინც მოგიწევთ, უფლის წინაშე მოგიწევთ, რადგან ამ პასუხებს ათასობით უკრაინელის დაღვრილი სისხლი მოითხოვს. ღმერთმა შეგაძლებინოთ თავის მართლება თქვენც და „ურჩ“ ბატონ ზელენსკისაც.**

* * *

ქალბატონო რაის, თქვენთან საუბარსაც იმ ცნობილი „ჭეშმარიტების“ აღიარებით დავიწყებ, რომლითაც პრეზიდენტ ბაიდენს დავემშვიდობე — რასაკვირველია, ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს და მის ცალკეულ წარმომადგენლებს პასუხს ვერავინ მოსთხოვს ვერანაირ დანაშაულზე, ვერანაირ შეცდომაზე, ვერანაირ ტყუილზე, მაგრამ **ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს დანაშაული, შეცდომა ან ტყუილი არ არსებობს?**

მარიუპოლი, 2022 წ.

სააკაშვილის „პროვოკაციაზე წამოგება“ გაუწონასწორებელი კაცის ერთჯერადი ემოციური რეაქცია რომ ყოფილიყო, კიდევ დაიჯერებდა კაცი თქვენს წუხილს მომხდარის გამო, მაგრამ **იმ ნაბიჯებს რა ვუყოთ, რომლებსაც თქვენი ვარსკვლავბიჭუნა (წაიკითხეთ — „თქვენი ნაძირალა“), ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გეგმაზომიერად დგამდა იმ ე.წ. პროვოკაციის შესამზადებლად?** (მაგალითისთვის, მხოლოდ ორს შეგახსენებთ: ცხინვალის რეგიონისთვის ძველი საბჭოური სტატუსის აღდგენა და იქ პარალელური „საპრეზიდენტო“ არჩევნების ჩატარება და დალის ხეობისთვის „ზემო აფხაზეთის“ დარქმევა). ან იმას რა ვუყოთ, **ევროსაბჭოს ცნობილი რეზოლუციით მომხდარზე ბრალი ქართველ ჯარისკაცებს რომ აჰკიდა და ბოლომდე „გააპრავა“ რუსული აგრესია?** ამ მძიმე სამხილების მიუხედავად, მაინც ერთჯერადი თვითნებობის „ჩვენებას მიაწვებით“?

ბავშვისთვისაც აშკარა იყო, რომ მზადდებოდა საქართველოს მიწების „საზეიმო გადაცემა“ (ერთდღიან ომს სხვას ვერაფერს უწოდებ) **„ბოროტების იმპერიისთვის“.** და რა გააკეთეთ თქვენ, ჩვენს მიერ არჩეულმა „უფროსმა ძმამ“ იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო? **ტრაგედია ისაა, რომ ტრაგედიის აღსაკვეთად არათუ თითი თითზე არ დაგიკარებიათ, არამედ ყველანაირად ხელს უწყობდით „დემოკრატიის შუქურას“ (რა ცინიზმია) საქმე ასეთ ფინალამდე მიეყვანა.** ეს რომ ასე მოხდებოდა, ამას არც რაიმე ღრმა გათვლები სჭირდებოდა და არც მრავალუცნობიანი განტოლებების ამოხსნა. ყველაფერი ხელისგულზე იდო.

სოხუმი, 1992 წ.

შედეგად ის მივიღეთ, რომ **ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი სააკაშვილს, ყველა თავისი ტვირთით, თავისი სისხლში გასვრილი ხელებით, რუსულ-ამერიკულ პროექტს უწოდებს.** აღნიშნულს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის რუსეთისთვის გადაცემაზე თუ დავაკონკრეტებთ, შეფასებას ასეთი შინაარსი ექნება — **სააკაშვილმა შეასრულა რუსული დაკვეთა ამერიკელების დასტურით. სხვა სიტყვებით — რუსებმა და ამერიკელებმა საქართველოში გავლენები გაინაწილეს.**

* * *

ვინმე შემთხვევითმა მკითხველმა რომ არ მისაყვედუროს, რაღა დროის ამ პენსიაში გასული ქალის მემუარების ფრიალიაო, განვმარტავ:

ა) ჩემს მკითხველს კარგად ესმის, რომ ქალბატონი რაისის სახით აშშ-ის ადმინისტრაციას მივმართავ — მაშინდელსაც, იმის წინანდელსაც და დღევანდელსაც;

ბ) 2008 წლის დანაშაულს ვადა არ გასდის და არც მაშინ გაუვა, როცა ჩვენს სამშობლოს გავაერთიანებთ;

გ) ტრაგედია არ დასრულებულა, დღესაც გრძელდება, დღესაც ცხელ ფაზაშია;

დ) კვლავაც იმ საფრთხის წინაშე ვდგავართ, რომ მოხდეს ახალი ომის პროვოცირება ე.წ. „მეორე ფრონტის“ სახით;

კიდევ ერთი, არცთუ ირიბი **დასტური იმისა, რომ სააკაშვილი თქვენს სრულ მხარდაჭერას განიცდიდა ყველა ეტაპზე, ყველა გადაწყვეტილების მიღების დროს, მისდამი შემდგომი დამოკიდებულებებიდან ჩანს.** გარდა იმისა, რომ ცხრა წლის განმავლობაში აიძულებდით მთელ საქართველოს, ეს შეურაცხყოფა აეტანა, ათასი სისტემური დანაშაულის პირდაპირი ან პოტენციური მსხვერპლი ყოფილიყო, **„ურჩობაში მხილების“ შემდეგაც დიდი ღვაწლი გაიღეთ დღევანდელ დღემდე მის უვნებლად მოყვანაში, რათა ახალი გადატრიალება მოეწყო და...** საიდანაც დავიწყეთ, ისევ იქ მივედით... **თქვენი და მისი უკრაინელი „თანამოაზრეების“ ოცნებას, „მიშა რომ ყოფილიყო მეორე ფრონტს ხომ გახსნიდაო“, წინ რაღა დაუდგებოდა?**

კაცობრიობის ისტორიის ბოლო ორ ათასწლეულში სიტყვა „პილატე“, დიდი ალბათობით, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებადი სიტყვა უნდა იყოს. **ჩვენი სამყარო „ხელების დაბანის“ მილიონობით ამბავს ინახავს.**

დასამშვიდებლად მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ, ქალბატონო რაის და ბატონო ბაიდენ.

ბიძინა დვალი

13.06.2022 წ.

ნანა კაკაბაძე: კოლონიაა ჩვენი ქვეყანა და 80 პროცენტით დასავლეთის დაპყრობილია?!

როცა ნიღაბი ჩამოხსნილია!

„საბჭოთა კავშირი არ გვინდოდა და დისიდენტები საბჭოთა კავშირს ვებრძოდით, რომ იქ ადამიანის უფლებები და ღირებულებები ილახებოდა. ზუსტად პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები საკუთარი თვალით ნახეს დასავლეთის ქვეყნების ელჩებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ამ ყველაფერს სჩადიოდა „ნაცხროვა“ და ამ ყველაფრის მერე ისევ იძახიან, რომ ის პარგი მმართველობა იყო“, – აცხადებს ცნობილი უფლებადამცველი, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე.

ევროპარლამენტარების რეზოლუცია ჩვენს ქვეყანაში აღიქვეს, როგორც მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში. ჩვენმა საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ეს იყო უფრო „ნაცმოძრაობის“ რეზოლუცია, ვიდრე ევროპარლამენტართა რეზოლუცია. რატომ იჩენენ ევროპარლამენტარები იმაზე მეტ სიხისტეს ახლანდელი ხელისუფლების მიმართ მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმის დროს შეუმჩნეველი რჩებოდათ ადამიანის უფლებათა შელახვა საქართველოში?

– თავისი რეზოლუციით ევროპარლამენტმა ჩამოიხსნა ნიღაბი. თუ ჩვენ აქამდე ვსაუბრობდით, რომ „ნაცმოძრაობა“ იდგა ამის უკან და მათ ჰყავდათ ევროპარლამენტში ერთეული ადამიანები ლობისტებად, ახლა გაჩნდა ეჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყოფილა სწორედ იმ დასავლური დაჯგუფების სახე, რომელიც ჩვენ ომისკენ მოგვიწოდებს. ეს დაჯგუფება „ნაციონალურ მოძრაობას“ ამუშავებს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიზნების საწინააღმდეგოდ. ეს ძალიან მკაფიო გახდა ახლა. უპირველეს ყოვლისა, ენა, რომელი ენითაც ევროპარლამენტარები საუბრობენ რეზოლუციის ტექსტით, არ არის არც დიპლომატიის ენა, არც პარტნიორი ქვეყნის ენა, ეს გახლავთ კოლონიზატორის ენა თავისი დაპყრობილი კოლონიის მიმართ. სხვათა შორის, კოლონიზატორისთვისაც კი სამარცხვინო იყო, რაც მათ ჯერ ტყუილები ილაპარაკეს თუნდაც მხოლოდ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, თითქოს ის ცემის შედეგად დაიღუპა. ამ დროს მთელმა საქართველომ იცის სიმართლე და ევროპარლამენტის ასეთი ტყუილი ქართველ ხალხში ნათელს ხდის იმას, რომ ისინი სიცრუეს და უსინდისობასაც კი კადრულობენ თავიანთი მიზნების მისაღწევად, ეს ძალიან ცუდი მესიჯია და მკაფიო მესიჯია ქართველი ხალხისთვის, გადახედოს იმ პოზიციას, რა პოზიციაც აქამდე გვქონდა, რომ გვინდოდა ევროპა და ევროპული ღირებულებები. თუ ესენი ასეთი ცბიერები არიან, თუ ასეთი ძალადობრივი ფორმებით ცდილობენ, ხელისუფლება შეცვალონ და ამის წახალისებას ახდენენ, თუ საუბრობენ, რომ ის ცხრაწლიანი რეჟიმი ყოფილა კარგი მმართველობა და ახლა არის ცუდი, მაშინ სიმართლე რაღაა?! ისინი გვეუბნებიან, რომ ის მმართველობა, რომელიც ქართველმა ხალხმა თავისი სიცოცხლის ფასად განდევნა პოლიტიკიდან არჩევნების გზით, თურმე კარგი მმართველობა იყო. თურმე თვალთვალი, მიყურადება, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები კარგი ყოფილა. ზუსტად პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ამ ქვეყნების ელჩებმა საკუთარი თვალით ნახეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ამას ჩადიოდა „ნაცხროვა“, ამ ყველაფერს ისინი ხედავდნენ, ამის მიუხედავად, კიდევ ამბობენ, რომ ეს კარგი მმართველობა იყო. ახლა უკვე ნათელია, რომ ამათ ჩვენი ქვეყნის სიკეთე და დემოკრატია კი არ აინტერესებთ, არამედ სურთ, თავიანთი მართული ძალა ჰყავდეთ საქართველოს ხელისუფლებაში. ეს არის ენა, რომლითაც „ნაცმოძრაობა“ საუბრობს ქვეყანაში, ფაქტობრივად, მოხდა ნიღბის ჩამოხსნა და მათი გაშიფვრა, რომ აქ არის მათი აგენტურა, ლომჯარია იქნება, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები თუ ლგბტ თემი, მთავარია, მათი პოზიცია გაიზიარონ, რომ საქართველო ომში უნდა ჩაითრიონ და ქართველი ხალხი გაანადგურონ. ესენი საქართველოს დაუძინებელი მტრები არიან, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ამაზე მეტი მტრობა არ არსებობს, როცა გვეუბნებიან, რომ დავუპირისპირდეთ 140-მილიონიან ქვეყანას – რუსეთს, რომელიც შეიარაღებით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. ეს ნიშნავს, რომ საქართველო და ქართველი ხალხი საზარბაზნე ხორცად უნდათ გამოიყენონ იმის გამო, რომ რუსეთს უბწკინონ და წარმოაჩინონ ერთი შტრიხი, თურმე რა ცუდი ყოფილა რუსეთი. ამისთვის გვეუბნებიან, რომ ჩვენ, როგორც ქვეყანა, უნდა გადავშენდეთ.

– ფიქრობთ, რომ შემთხვევითი არ არის ნინო ლომჯარიას წამოცდენა – „შეიძლება, ბომბებისგან მიღებული რაღაც ცეცხლი სჯობდეს სირცხვილს“?

– რა თქმა უნდა, ეს არის აგენტურა საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი ძალებისა, რომლებიც ახორციელებენ პროექტს „საქართველო ქართველების გარეშე“. მათ აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და არა აქ მცხოვრები ხალხი.

– ევროპარლამენტართა ამ რეზოლუციის შემდეგ უკვე გაჩნდა ევროსაკეტიკური მოწოდებები პრემიერის მიმართ, რომ ევროკავშირში გაწევრების მიზნით შეტანილი დამამცირებელი განცხადება უკანვე გამოიტანოს. რა მოგვიტანა ევროპამ, როცა ისტორიულად დახმარებას ვითხოვდით მისგან და რას გვთავაზობს ახლა? ხომ არ ვიჩქარეთ ევროკავშირში განცხადების შეტანა, რასაც 2024 წლისთვის ვგეგმავდით?

– ჩვენი ისტორია ცხადყოფს, რომ როდესაც ჩვენ ვაკეთებდით არჩევანს რუსეთის სასარგებლოდ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დანარჩენი მსოფლიო, ანუ ევროპა, დასავლეთი, ფაქტობრივად, უარს გვეუბნებოდა დახმარებაზე და იძულებულნი ვიყავით რუსეთს შევერთებოდით. დღეს ვიღაცების სალაპარაკო გახდა მეფე ერეკლე, ადამიანი, რომელმაც თავი შესწირა საკუთარ ქვეყანას. ეს იყო აბსოლუტურად გაზრებული ქმედება, რომ ორი უბედურებიდან მეფე ერეკლემ აირჩია ერთი, რომელიც იმ მომენტში იყო საქართველოს ფიზიკური გადარჩენა. ეს არჩევანი გაკეთდა გამოუვალი ვითარებიდან გამომდინარე, ასე იყო ყოველთვის, ორ ბოროტებას შორის კეთდებოდა არჩევანი. დღესაც, რასაც ევროპა აკეთებს, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ჩვენ მიგვდენის რუსეთისკენ. როდესაც გვეუბნებიან, ფულს გიხდიდით იმიტომ, რომ როცა დაგვჭირდებოდა, უნდა ქცეულიყავით საზარბაზნე ხორცად, ეს თვით კომუნისტებსაც არ უკადრებიათ და საბჭოთა კავშირის დროსაც არ უთქვამთ ასეთი რამ. ამაზე მეტი სიძულვილის ენა რა შეიძლება იყოს, როცა გვეუბნებიან, რომ უნდა ვიქცეთ საზარბაზნე ხორცად?! თვითონ შეუქმნან პრობლემები რუსეთს, ათასჯერ ჩვენზე მეტი შესაძლებლობაც აქვთ და რაოდენობრივადაც ამერიკა თუ ევროპის ქვეყნები ასჯერ ჭარბობს საქართველოს. რაღა საქართველოს გადაეკიდნენ, წავიდნენ, თვითონ იომონ, გვაჩვენონ, როგორ იბრძვიან და მერე ჩვენც მივიღებთ გადაწყვეტილებას.

– ევროპარლამენტართა ასეთი განწყობა ხომ არ არის „ქართული ოცნების“ ლიდერშიპის ძველბიჭური საუბრის გამოძახილი, როგორც ამაზე ოპოზიცია აპელირებს?

– რომელი ძველბიჭური საუბარი? როცა უნდათ, „ნაციონალები“ ორ შაურად აგინებენ ევროპელებს, ელჩებს და მათ წარმომადგენლებს. იგივე გვარამია რა ტონალობაში ლაპარაკობდა! ხომ ხედავთ, გვარამიას დაპატიმრება თურმე მედიის დამოუკიდებლობის ხელყოფა ყოფილა. რომელი მედია და რომელი ჟურნალისტი გვარამიაა, როცა სისხლიანი რეჟიმის პროკურორი იყო? აქ მთავარია მათი ინტერესი, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ჰყავდეთ ყურმოჭრილი მონები, რომლებიც მათ შეკვეთას შეასრულებენ, ამ შემთხვევაში, ყველაზე მთავარი შეკვეთა იყო საზარბაზნე ხორცად ჩვენი გადაქცევა. აქ მთავარია, როგორ გაბედეს ასეთი ტონალობით საუბარი, როგორ გაბედეს ამდენი ტყუილის ჩაწერა რეზოლუციის ტექსტში, რომელიც მათი სახელით უნდა გავრცელებულიყო საქართველოში? ამაზე უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებამ პასუხი ევროპარლამენტს. საბჭოთა კავშირი არ გვინდოდა და დისიდენტები საბჭოთა კავშირს ვებრძოდით, რომ იქ ადამიანის უფლებები და ღირებულებები ილახებოდა, ახლა მეორე კავშირი გვინდა, რომელიც კიდევ უარეს რამეს უქადის ქვეყანას, ვიდრე საბჭოთა კავშირი უქადდა? ამიტომ უნდა გავერკვეთ, სად მივდივართ, ვისთან და როგორ ურთიერთობებში? განა საკმარისი არ არის, ჩვენი ქვეყნის 20% რომ არის ოკუპირებული? ახლა 80%-ის ოკუპირებას აპირებენ? გვეუბნებიან, შენი კანონი კი არ უნდა მუშაობდეს ამ ტერიტორიაზე, არამედ – ჩემი ნება. ე.ი. კოლონიაა ჩვენი ქვეყანა? ჩვენი ტერიტორიების 80% მათი მხრიდან დაპყრობილია?

აშკარაა, ევროპელებს ასე მიაჩნიათ!..

მანანა ნოზაძე

ყოველი ნაცი ნაძირალაა, მაგრამ „დასავლეთელია“...

ევროპარლამენტის რეზოლუცია და „20 ივნისის საზოგადოება“

ინფორმირებული წყაროების თანახმად, საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აშშ-ის სახელისუფლებო კაბინეტებში მოხაზეს სქემა, რომლის მიხედვითაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში კიდევ ერთი ვადით უნდა დარჩენილიყო. კოლექტიურ დასავლეთს ეჭვები და შიშები ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით და ერჩივნა, ისევ მათთან კარგად შეთამაშებულ „ნაცმოძრაობასთან“ ჰქონოდა ურთიერთობა პრინციპით – „ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენიანი ნაძირალა“!..

სქემა ითვალისწინებდა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, სააკაშვილის პატივით გაცილებას ხელისუფლებიდან ისე, რომ ის არ დაბრუნდებოდა პრემიერ-მინისტრად. საპარლამენტო არჩევნებში 60/40 პროპორციით, („ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ), „ნაცები“ დარჩებოდნენ ხელისუფლებაში, ხოლო „ქართული ოცნება“ და სხვა ოპოზიცია იქნებოდა სათანადოდ წარმოდგენილი, შეიქმნებოდა დემოკრატიული პლურალიზმის ფასადი და დასავლეთი ოთხი წლით მშვიდად იქნებოდა. ამ სქემას იყო მორგებული NDI/IRI-ს წინასაარჩევნო „გამოკითხვების“ შედეგებიც, ხალხს რომ „ნაცების“ „დამაჯერებელ“ გამარჯვებაში არწმუნებდნენ.

თუმცა, ეს სქემები და გათვლები თავდაყირა დააყენა საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის კონსოლიდირებულმა ნებამ, აქტივობამ და შემართებამ, რამაც დასავლეთი იძულებული გახადა, შეგუებოდა. შედეგად, მათ აიძულეს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლება დაეთმოთ!..

ეს რეტროსპექტივა იმის სადემონსტრაციოდ მოვიყვანე, რომ თუ დასავლეთზე რამე ახდენს ზემოქმედებას და აქვს, ასე ვთქვათ, „ცივი შხაპის“ ეფექტი, ეს არის ჩვენი საზოგადოების მყარი უმრავლესობის მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის მიმართ. ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც. მისი უდიდებულესობა ხალხი, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგები „ფრუსტრირებულ ბიომასას“ უწოდებენ, საჭიროების შემთხვევაში, წყვეტს ბევრ რამეს, თუ არა – ყველაფერს.

რეზოლუციაში ჩანს ევროპარლამენტის პოზიცია – საქართველოს არჩეული ხელისუფლებისა (არჩევნებით, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღიარეს!) და ქვეყნის მოსახლეობის ერთმანეთისგან გამიჯვნა და ერთმანეთთან დაპირისპირება ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაციის თემაზე. ამასვე ემსახურებოდა მანამდე ორი ევროპარლამენტარის წერილი ქართველ ხალხს – აირჩიეთ ევროპა ან „ქართული ოცნებაო“. ამას დაუმატეთ დასავლელი დიპლომატების თუ მაღალჩინოსნების განცხადებები, რომ, თუ საქართველოს კანდიდატის სტატუსი და ევროპული ოჯახის წევრობა უნდა, სრულად უნდა მიუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს და საერთოდ, უფრო აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს რუსეთსო და ა.შ. პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც კი კარგად ჩანს, თუ რა კალაპოტში გადადის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესი, თუნდაც მოლდოვასთან შედარებით, რომელიც შეიძლება ჩვენზე უფრო ფრთხილ პოლიტიკას ატარებს რუსეთთან.

ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელსაც თავად ევროპარლამენტარები „გარდამტეხს“ და „ბოლო გაფრთხილებას“ უწოდებენ, მართლაც რომ გარდამტეხია, რადგანაც საქართველოს მიმართ ასეთი შინაარსის და პათოსის რეზოლუცია ევროპარლამენტს არ მიუღია. თუ გვერდზე გადავდებთ იმ უზუსტობებს და ტყუილებს, რაც ასე უხვადაა რეზოლუციაში, ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირატორად იქცა, თუ რეზოლუციაზე ჩვენი საზოგადოების რეაქციებით ვიმსჯელებთ.

ფაქტობრივად, ერთ მხარეს დგას საზოგადოება, რომელიც ევროინტეგრაციას ემხრობა, მაგრამ ევროპარლამენტის რეზოლუცია სრულიად სამართლიანად აღიქვა, როგორც შეურაცხმყოფელი, რომელიც უსამართლოდ აკნინებს საქართველოს მოლდოვისა და უკრაინის წინაშე. მეორე მხარეს, კი დგას პირობითად რომ ვუწოდოთ, ე.წ. „20 ივნისის საზოგადოება“, რომელიც ევროპარლამენტის რეზოლუციით შეიარაღებული, 20 ივნისის მიტინგზე საკუთარი ძალების დათვალიერებას გეგმავს, რომ გაიგოს რა პერსპექტივა აძვთ ახალი „მაიდნის“ მოსაწყობად.

ევროპარლამენტის იმ ყბადაღებულ რეზოლუციაში, რომელშიც არ გამოვრიცხავ, რომ საკმაოდ დიდი ფულიც ჩაიხარჯა და გავლენიანი ჯგუფებიც ჩაერთვნენ, ჩაიდო დაყოვნებული მოქმედების ნაღმი, რომელიც გადასცეს ხელში აქაურ ოპოზიციას საჭირო დროს ასაფეთქებლად. თუ დააკვირდით, სწორედ ევროპარლამენტის რეზოლუციის შემდეგ მოუხშირეს რადიკალურმა ოპოზიციამ და მათმა სატელიტებმა საუბრებს ხელისუფლების ცვლილებაზე, ვადამდელ არჩევნებზე და ა.შ.

შესაბამისად, ისევე როგორც 2012 წელს, მთავარი სიტყვა, ახლაც, ჩვენი საზოგადოების ჭკანალ უმრავლესობას ეკუთვნის. ავტორიტარული ძალები, რომლებიც თავის დროზე „ძართულმა ოცნებამ“ დაინდო, ისევ გააძტიურდნენ. საზოგადოებაში მხარდაჭერის არმქონე, ახლაც, ისევე როგორც ადრე, გარე ძალების დახმარებით ლამობენ ქვეყანაში მშვიდი მდგომარეობის აშირავებას და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ახლა, სწორედ, საზოგადოების უმრავლესობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მისცემენ ამის უფლებას და საშუალებას.

ზაალ ანჯაფარიძე

ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲐᲩᲘᲜᲝᲡ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სამშენებლო კანონდარღვევების აღმოფხვრის მიზნით, პარლამენტმა მიიღო კანონი, თბილისის საკრებულომ კი შესაბამისი წესი დაამტკიცა.

მისი თქმით, აქამდე ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ჩაუბარებლობა პრობლემას წარმოადგენდა, რადგან კანონდამრღვევები ხელოვნურად აბრკოლებდნენ აღსრულების პროცესს.

„სამშენებლო სამართალდამრღვევების მიმართ არაერთხელ გავამკაცრეთ სანქციები, თუმცა, ამის მიუხედავად, დღემდე პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ჩაუბარებლობა. კანონდამრღვევები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ დარღვეული აქვთ კანონი და მათი სასარგებლო გადაწყვეტილება არც ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში იქნებოდა გამოტანილი, ხელოვნურად აბრკოლებდნენ გადაწყვეტილებების ჩაბარებას, არ იბარებდნენ სპეციალურად, რაც აფერხებდა აღსრულებას. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი ინიციატივით, შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც წარედგინა პარლამენტს და მათი ჩართულობით, მიღებული იქნა. ასევე, საკრებულომაც დაამტკიცა შესაბამისი წესი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული კანონით დაჩქარდება მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კახა კალაძემ დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზეც ისაუბრა. კერძოდ, აღინიშნა, რომ მელიქიშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია 17 ივნისს, საღამოდან დაიწყება და ქუჩა მთლიანად გადაიკეტება.

მისივე თქმით, აღნიშნული ქუჩა რეაბილიტირდება ისე, როგორც თანამედროვე ინფრასტრუქტურას შეესაბამება.

„ვიწყებთ მელიქიშვილის ქუჩის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, მთლიანად შეიცვლება მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელები. განახლდება სანიაღვრე ქსელი, წყლისა და წყალარინების სისტემები, გაზის მილები. ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვემოთ განთავსდება. დამონტაჟდება განათების ბოძები ლედ-სანათებით. მოეწყობა ტროტუარები, ახალი მოსაცდელები, საავტობუსე ზოლები, ველობილიკი. დამონტაჟდება მიწისქვეშა ნარჩენშემკრები ურნები და ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად ადაპტირდება შშმ პირებისთვის. მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 17 ივნისს, საღამოდან დაიწყება და ქუჩა ჩაიკეტება. პროექტის განხორციელების პერიოდში, ვარაზისხევი და კოსტავას ქუჩა ორმხრივი გახდება“, — აღნიშნა თბილისის მერმა. კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელზეც თბილისის მერმა ყურადღება გაამახვილა, ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია და მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაა.

კახა კალაძის თქმით, პროექტის მიხედვით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ კედელს, ასევე, ავლაბრისა და ერევნის სკვერებს.

დედაქალაქის მერმა მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯავახეთისა და ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩებზე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

კახა კალაძემ იმ პროგრამებზე ისაუბრა, რომელსაც მუნიციპალიტეტი შშმ ბავშვებისთვის ახორციელებს. მისი თქმით, 14 ივნისი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეა.

„თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური შშმ პირებისთვის არაერთ პროგრამას ახორციელებს. მინდა, გამოვყო რამდენიმე მათგანი, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია: პირველი, ეს არის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა“ და დღეისთვის, ამ პროგრამით 1 550 ბავშვი და მოზარდი სარგებლობს; ასევე, მნიშვნელოვანია „შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, წელს 800 ლარის ღირებულების 2 300-მდე საკურორტო ვაუჩერი გაიცა. ვაუჩერის ფარგლებში, მშობელი თავად ირჩევს საქართველოში დასასვენებელ ადგილს, იქნება ეს მთის თუ ზღვის კურორტი და მერიის ვაუჩერის ფარგლებში იღებს მომსახურებას; მნიშვნელოვანია „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა 800-ლარიანი დახმარების პროგრამაც“, რომლის ფარგლებში, ყოველწლიურად, 1 300-მდე პირი იღებს დახმარებას; გარდა ამისა, მერია ახორციელებს სოციალურად დაუცველი, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებში, წლის განმავლობაში 900-ლარიანი დახმარება გაიცემა. დახმარებას წელიწადში 623 უსინათლო პირი იღებს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საუბრის დასასრულს, დედაქალაქის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი — ილია სოფრომაძე წარუდგინა, რომელიც თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში მუშაობს.

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲗᲔᲡᲕᲔᲚᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ 14 ᲜᲐᲠᲙᲝ-ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში 14 ნარკორეალიზატორი დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

„ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1967 წელს დაბადებული თ.ლ., 1972 წელს დაბადებული ა.მ., 1986 წელს დაბადებული მ.ჩ., 1977 წელს დაბადებული ი.ბ., 1975 წელს დაბადებული ზ.ლ., 1982 წელს დაბადებული დ.ჯ., 1995 წელს დაბადებული ა.კ., 1990 წელს დაბადებული გ.ა., 1980 წელს დაბადებული კ.ბ. (მეტსახელად „კოკინიჩი“), 1984 წელს დაბადებული გ.ს. (მეტსახელად „ლისოვიჩი“), 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ფ. და უცხო ქვეყნის მოქალაქე — 1980 წელს დაბადებული ა.ჩ., 1982 წელს დაბადებული ს.გ. და 1981 წელს დაბადებული თ.მ. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — აცხადებენ შსს-ში. უწყების ცნობით, სამართალდამცველების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

„პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები — „ჰეროინი“, „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, „ალფა პვპ“ და „ბუპრენორფინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ასევე ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას, გასაღებას და გასაღების მცდელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს უკომპრომისო ბრძოლას ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ. მხოლოდ მიმდინარე წელს, სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 88 ნარკორეალიზატორი დააკავეს და ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები“, — აცხადებენ შსს-ში.

ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲖᲔᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ, ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡ ზეთის იმპორტთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია. პირველ რიგში, ეს ეხება გაზრდილ ფასს და შემდეგ უკვე მნიშვნელოვანი პროდუქტის დეფიციტს. არის ქვეყნები, სადაც მზესუმზირის ზეთი უკვე ძნელად იშოვება და თუკი რუსეთმა მისი ექსპორტი საერთოდ აკრძალა, ასეთ შემთხვევაში, საფრთხე რეალური იქნება საქართველოშიც, რადგან ყველაზე დიდი მომწოდებელი სწორედ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა.

რუსეთმა მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო გადასახადი გასული წლის სექტემბრიდან დააწესა და ის განუხრელად იზრდება. ივნისში 1 ტონა პროდუქტის საექსპორტო ბაჟმა კიდევ 152.8 დოლარით მოიმატა. შესაბამისად, 1 ტონა ზეთის ღირებულება ამჟამად 525 დოლარს შეადგენს, რომელიც პირველი ივნისიდან შევიდა ძალაში, მანამდე კი საექსპორტო გადასახადი 372 დოლარი იყო. რამდენად აისახება რუსეთიდან მზესუმზირის ზეთის ექსპორტზე გაზრდილი გადასახადი იმპორტირებული პროდუქტის ფასზე და რამდენით გაძვირდება დახლზე ზეთის ფასი? როგორც იმპორტიორი კომპანია „ალფას“ დირექტორმა **ირაკლი ციხისთავმა** აღნიშნა, ივნისში ზეთის იმპორტის შემდეგ პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზე დაახლოებით 10%-მდე გაძვირდება.

„საექსპორტო გადასახადის ზრდა, რა თქმა უნდა, დახლზე ზეთის ღირებულებას გაზრდის. ივნისში იმპორტირებული ზეთის ფასი დაახლოებით 10%-ით გაიზრდება. დღეს 1 ლიტრი ზეთის ღირებულება 9 ლარია, საექსპორტო ფასის გავლენით ზეთი 1 ლარით გაძვირდება“, — თქვა ციხისთავმა.

თუმცა, იმპორტორები უფრო მძიმე და მოსალოდნელ პრობლემაზეც საუბრობენ. არ არის გამორიცხული, რუსეთმა ზეთი საერთოდ აღარ გაყიდოს და ამ შემთხვევაში საქართველოს სხვა ქვეყნის ბაზრის მოძებნა მოუწევს, რომელიც გაცილებით ძვირი იქნება.

ტრადიციულად საქართველოსთვის მზესუმზირის ზეთის საიმპორტო ბაზრად რუსეთი რჩება. სამეულში კი, ომის მიუხედავად იანვარ-თებერვალში განხორციელებული იმპორტით უკრაინაც მოხვდა. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში ზეთის იმპორტის ღირებულებისა და მოცულობების მიხედვით, ქვეყნების რეიტინგი შემდეგნაირია:

რუსეთი — 3.9 მლნ დოლარი, 2 504 ტონა;
აზერბაიჯანი — 2 მლნ დოლარი, 1 040 ტონა;
უკრაინა — 416.1 ათასი დოლარი, 239 ტონა;
იტალია — 16 ათასი დოლარი, 5 ტონა;
სომხეთი — 6 ათასი დოლარი, 3 ტონა;

მცირე მოცულობებით ზეთის იმპორტი ამ პერიოდში გერმანიიდან და საფრანგეთიდანაც განხორციელდა.

ᲔᲙᲐ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ

„იმ რეჟიმს ყავარჯნიანი კაცი ჰყავდა, რომელიც ახალგაზრდებს აუპატიურებდა და იმ რეჟიმის მიმართ არ ჰქონდა ევროპარლამენტს და ევროკავშირს პროტესტი“...

იაგო ხვიჩია: ნაციონალური პარტიის სახელით აქციის გამართვა სახელის გატეხაა

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსის მინიჭების მოახლოვებასთან ერთად ქვეყანაში სიტუაცია სულ უფრო იძაბება. 24 ივნისს საქართველომ ევროპის 27 ქვეყნისგან უნდა მიიღოს პასუხი, გვანიჭებენ თუ არა სტატუსს.

ამ ისტორიული გადაწყვეტილების პარალელურად კი სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ 20 ივნისს აქციის, სახელწოდებით – „შინ, ევროპისკენ“ – ჩატარება გადაწყვიტა. თარიღი 2019 წლის 20 ივნისის ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარეა შერჩეული. ხუთშაბათს ენმ-ის თავმჯდომარემ, **ნიკა მელიამ** გამოაცხადა, რომ პარტია უერთდება ამ აქციას, რადგან, მისი შეფასებით, ხელისუფლების მოქმედებების გამო ქვეყნის დასავლურ არჩევანს საფრთხე ემუქრება. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ენმ-მა ეს სიტუაცია ქვეყანაში საპროტესტო მუხტის ასაგორებლად გამოიყენოს. ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყნის შიგნით გაკოტრებული ოპოზიცია ხსნას ქვეყნის გარეთ ცდილობს და ევროპარლამენტარების რეზოლუციის მიღების შემდეგ, მათი რიტორიკა ხელისუფლების წინააღმდეგ სულ უფრო გამძაფრდა.

ოპოზიციის ნაწილი კი მელიას ამ გადაწყვეტილებას ემიჯნება. მაგალითად „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი **იაგო ხვიჩია** მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ასეთი აქცია, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ახლა დაგეგმავს, არსებულ საპროტესტო მუხტს გააქრობს.

„არ ვიცი, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ შეგნებულად ეხმარებიან თუ არა ერთმანეთს, მაგრამ ის, რომ აქციებს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით და მხარდასაჭერად იწყებს „ნაციონალური მოძრაობა“, ამ იდეას აზიანებს თავად. ამიტომ, ამდენი ხნის განმავლობაში ვითხოვ, „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალოს, რომ ქართველ ხალხს მიეცეს საშუალება, რომ ახალი თავი გადაფურცლოს, მათ შორის იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ნებისმიერ იდეაზე აქციის დაგეგმვა სახელის გატეხაა, მათ შორის, ამ აქციაზე და დასავლურ ღირებულებებზე სახელის გატეხაა. ამიტომ, თუ მათ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ, რაღაცას თავი უნდა დაანებონ და ქართველ ხალხს მისცენ უფლება, მათი ხელმძღვანელობის გარეშე დააორგანიზონ რამე პროტესტი, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნება და არა ზემოდან პოლიტიკოსების მითითებით და ორგანიზებით“, – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

რაც შეეხება კითხვას, საპროტესტო მუხტი ხალხში როდის უნდა გამოიხატოს? – ხვიჩიას თქმით, ეს უნდა მოხდეს „პირველივე კვირას, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ საფრთხე მოიხსნება“.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ოპოზიციის მიერ შერჩეული დრო, 20 ივნისის აქციის გასამართად არასწორი და პოლიტიკურად წამგებიანი ქმედებაა. ისედაც დაძაბულ სიტუაციაში ხალხის გაღიზიანებას გამოიწვევს. ქვეყნის გარშემო რთული ვითარებაა და დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. ამიტომ ოთხი დღით ადრე, როცა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსი უნდა მიენიჭოს, თბილისში აქციის გამართვა დაუშვებელია.

„ქართველებს ასე რომ დაუდგეთ საკითხი, შევიდეს ქვეყანა ევროკავშირში და ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ მოიყვანონ, თუ არ შევიდეს ევროკავშირში და „ნაციონალები“ არ დაბრუნდნენ, ჩვენი მოსახლეობა ამ ორ მოცემულობას შორის რომელ არჩევანს გააკეთებს? დარწმუნებული ვარ, ხალხი იტყვის, რომ ოღონდ ესენი უკან არ დაბრუნდნენ და ევროკავშირი არ გვინდაო. ხალხს ამ მავნებელი პარტიისგან ბევრი სიმწარე ახსოვს და თავიდან ძლივს მოიშორეს, ამიტომ ოპოზიცია ძალიან ცუდ თამაშში ერთვება. ამ რეჟიმს ყავარჯნიანი კაცი ჰყავდა, რომელიც ხელმოწერის გამო ახალგაზრდებს აუპატიურებდა.

აი, ამ რეჟიმის მიმართ არ ჰქონდა ევროპარლამენტს და ევროკავშირს პროტესტი. ხალხს ახსოვს გვარამია და კეზერაშვილი რასაც წარმოადგენენ. ეს ხალხი მედიამენეჯერები არ არიან. როცა ჩვენი ევროპელი პარტნიორები ასეთ შეცდომებს უშვებენ, შესაძლოა, ცუდი შედეგი მიიღონ. ამით საქართველო დაზიანდება. დასავლელ პოლიტიკოსებს ასეთი აკვიატება ჰქონდათ, რომ კოსოვო უნდა ვაღიაროთო. პუტინმა გააფრთხილა, აღიარებთ და იგივეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გავაკეთებო. შედეგი რაც დადგა ვნახეთ. ამის შედეგია ის, რომ მინიმუმ, დღეს კავკასიაში რუსული ბაზებია შემოყვანილი, რაც დარწმუნებული ვარ, დასავლელი პოლიტიკოსების სურვილი არ იყო. ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებითაც ახლა საბედისწერო შეცდომა კიდევ არ უნდა დაუშვან. რუსეთის საქმე თავად ევროპამ არ უნდა გააკეთოს“, – ამბობს საყვარელიძე.

მისივე თქმით, ოპოზიცია შეცდომას დაუშვებს, თუკი ამ თემით სპეკულაციას დაიწყებს და აქედან პოლიტიკური დივიდენდების დაწერას შეეცდება. ომის გამო ხალხი ისედაც შეშინებულია და ასეთ სიტუაციაში ხელისუფლების იმედი უფრო აქვს. ამიტომ შესაძლოა, ამან უკურეაქცია გამოიწვიოს და ხალხი ქუჩაში არა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ოპოზიციის წინააღმდეგ გამოვიდეს.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** კი მიიჩნევს, რომ თუკი ოპოზიცია ახლა რაღაცა საპროტესტო მუხტის აგორებას შეეცდება, ეს მათვის კიდევ ერთი მარცხი იქნება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ პირიქით, მათ ახლა ყველა ტრიბუნა უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსი მიიღოს.

„მოსახლეობის 80% მართალია ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს და აქედან ორი მესამედი ხელისუფლების მოწინააღმდეგეა, მაგრამ იმის თქმა, რომ თუ სტატუსი არ მოგვცეს ოპოზიცია აქედან საპროტესტო ტალღას ააგორებს, მცდარია. ეს წამგებიანია არა მხოლოდ პროპაგანდის თვალსაზრისით, არამედ რეალობიდან გამომდინარე. კი, ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება არის, მუხტიც შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ იმდენად ძლიერია ფსიქოლოგიური ზეწოლა უკრაინის ომიდან გამომდინარე, რომ ეს პროტესტი ქუჩაში არ გადმოვა. ხალხს ახლა მიუხედავად „ოცნების“ მიმართ გარკვეული უკმაყოფილებისა, ოპოზიციის ნდობა არა აქვს. მათ უყურებს, როგორც ქვეყნის ამრევ ძალას, რომელსაც ხელისუფლებაში დაბრუნება სურს. ეს მესიჯი გვინდა თუ არა, მუშაობს. საზოგადოების ნაწილი ამას იჯერებს. პროტესტი ქუჩაში არ გადმოინაცვლებს. ამიტომ თუ ოპოზიცია ჩათვლის, რომ ეს მუხტი სასწრაფოდ უნდა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს, ოპოზიციისთვისვე წამგებიანი იქნება, პერმანენტულ აქციებს და ხელისუფლებაზე ზეწოლას ვერ განახორციელებენ. ამაზე ხალხი ოპოზიციას არ აჰყვება. ომის და არეულობის შიში ხალხში მძაფრად არის გამჯდარი. ოპოზიციას არევა რომც უნდოდეს, ამას ვერ შეძლებს. თუკი ევროკავშირი სტატუსს არ მოგვცემს, ამას ხელისუფლება ოპოზიციას და ევროპარლამენტარებს დააბრალებს, ხოლო ოპოზიციის აქციები ამ ბრალდებას გაამყარებს“, – ამბობს ძაბირაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

თორნიკე შარაშენიძე: „თუ სტატუსს მხოლოდ საქართველო არ მიიღებს, აქ რუსული პოზიციები გაძლიერდება და ეს უნდა გაითვალისწინონ!“

გვესაუბრება „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (GIPA) საერთაშორისო ურთიერთობათა პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი თორნიკე შარაშენიძე.

– ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოლოდინს თან გასდევს კონფრონტაციული ტონი „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომელიც უფრო და უფრო მძიმდება და არის მოლოდინი, რომ ახალ „სიმაღლეზე“ ავა. თქვენი გამოცდილება და დაკვირვება რა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გაძლევთ, ამით რის მიღწევას ცდილობს მმართველი გუნდი?

– მგონია, რომ რაღაც მცირე შანსი მაინც არსებობს მოლდოვა-უკრაინას მისცენ სტატუსი და ჩვენ არა და ცხადია, წინასწარ თავის დაზღვევა ხდება, გადაბრალება ოპოზიციაზე. ოპოზიციიდან ვიღაც შესაძლოა, მართლაც ცდილობდეს რაღაცას, ეს არაა გამორიცხული, მაგრამ ქვეყანაში ყველაფერი წესრიგში რომ იყოს, ამ მცდელობით არაფერი გაფუჭდებოდა. ნიკა გვარამია („მთავარი არხის“ გენდირექტორი – რედ.) რომ არ დაეჭირათ, 5 ივნისს ის საშინელება რომ აეცილებინათ თავიდან, მსგავსი პოზიცია არ იქნებოდა ჩვენთან დაკავშირებით.

– ან რეაგირება მაინც რომ ჰქონოდათ ადეკვატური ძალადობის ორგანიზატორებთან დაკავშირებით...

– რა თქმა უნდა. რაღაც რეაგირება შემდეგ შესაძლოა, ჰქონდათ, მაგრამ გასაფუჭებელი უკვე გაფუჭდა, ადამიანი დაიღუპა შემდეგ. სწორედ ამაშია საქმე. თუ ყველაფერი წესრიგში გაქვს, ვერავინ ვერაფერს გაგიფუჭებს.

– რას ჰგონიათ, რომ მიიღებენ ამ ტონით, თუ ფიქრობთ, რომ ეს ძირითადად შიდა აუდიტორიაზეა გათვლილი?

–საგარეოზეც. საქმე იმაშია, რომ უცხოეთში „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები ნამდვილად არსებობენ, მაგრამ ხელისუფლებაში ამდენი ხანი რომ ხარ და ლობისტები მაინც პრობლემას გიქმნიან, ეს ორი რამით აიხსნება: **ერთი** – ვერ მუშაობ უცხოელებთან ისე კარგად, **მეორე** – ქვეყნის შიგნით საქმე ისე კარგადაც არ გაქვს.

იხ. 8 გვ.



მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო!

გადაეყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური...
ხაში, ხილი და თონიდან
ამოყრილი პური.
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

მიეგებეთ, ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!

განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი შენი ბრალი!
ხელებს შუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი.
ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის
თვალციმციმა ქალი.

განა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო, გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით
მწველი ეთიმ-გურჯი
ჰწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

დგას ქალაქი...
არადანი, მან არ იცის ორში,
თანშობილი ბაბილონთან
და ნებროთის დროში, —
დღევანდელ დღეს ეგებება
გამარჯვების დროშით!

მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხის ძალი —
სამაია სამთაგანა!

მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს
მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას? —
მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?!

სულ რამდენიმე დღის წინ გადაიხადეს კახეთში „გარეჯობა“, და აი, შაბათს, 11 ივნისს, ისევ საზეიმოდ შეიკრიბა ხალხი, ამჯერად მადლიან პატარძეულში, ტრადიციული „გოგლაობის“ დღესასწაულის აღსანიშნავად, რომელიც ჩვენი სასიქადულო მგოსნისა და მამულიშვილის გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 123-ე წელს მიეძღვნა.

ამ დღეს პატარძეულში, წლების მანძილზე მაისის მიწურულს აღნიშნავენ ხოლმე, თუმცა, მიზეზთა გამო წლეულს, დღესასწაულმა ივნისისკენ გადმოიწია, მაგრამ ამას სულაც არ გაუნელებია ის არაჩვეულებრივი განწყობა, რომელიც გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის კარ-მიდამოში სუფევდა და ის უდიდესი სითბო, რომლითაც თბილისიდან ჩასულებს მასპინძლები დაგვხვდნენ. დარწმუნებული ვარ, სხვაგვარად არ შეიძლებოდა ყოფილიყო – ამ სტრიქონების ავტორი იქ ხომ უფროს მეგობართან – ჟურნალისტ **დემიკო ლოლაძესთან** და ცნობილ მეწარმესთან და ქველმოქმედთან **ვახტანგ ვეფხვაძესთან** ერთად ჩავედი, რომლის შემწეობით ქართველმა მკითხველმა ცოტა ხნის წინათ დიდებულად დასტამბული შესანიშნავი წიგნი **„გიორგი (გოგლა) ლეონიძე“** მიიღო.

ჭეშმარიტი დღესასწაული იყო იმ დღეს ლეონიძეების კოპწია ორსართულიანი, წინ ულამაზესი აყვავებული ბროწეულის ხით დამშვენებული სახლის ეზოში, რომელიც პატარძეულელებმა კახეთის სხვადასხვა კუთხიდან და თბილისიდან ჩასულ სტუმრებს – მწერლებს, პოეტებს, ლიტერატორებს, ჟურნალისტებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ბურჯის გიორგი ლეონიძის შემოქმედების თაყვანისმცემლებს მოუწყვეს.

გოგლაობის სტუმართა ერთი ჯგუფი

„ოლონდ ნატვრის ხე გამიხარე...“

– ზუსტად 123 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლეონიძეების ეზოში გაისმა სახელი – გოგლა! ბავშვობაში შერქმეული ეს სახელი მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა, სრულიად საქართველო დღესაც ამ სახელით მოიხსენიებს ერის სათაყვანო შვილს – გიორგი ლეონიძეს. იგი ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფე იყო, როცა დიდმა ვაჟამ ლექსიც მიუძღვნა და გზაც დაულოცა, რასაც თავად გოგლა შემდგომ ასე იხსენებდა: „...ასე დამლოცა ვაჟა-ფშაველამ, დამსკდარი ხელი თავზე დამადო...“ სხვა რა გზა ჰქონდა ახალგაზრდა შემოქმედს, ბუმბერაზის დანახული ნიჭის ნაპერწკალი გულში მოგიზგიზე კოცონად უნდა აებრიალებინა და შესანიშნავ ნაწარმოებებად ექცია, აკი გააკეთა კიდეც!.. – თქვა „გოგლაობაზე“ გამოსვლისას კრიტიკოსმა **ზაზა აგზიანიძემ.**



გოგლას შვილიშვილი
გიორგი გვინჩიძე

გამორჩეული გულითადობით გაცისკროვნებულ წლევანდელ გოგლაობაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე გამომსვლელებმა არაერთი გულში ჩამწვდომი სიტყვა მიუძღვნეს დიდ შემოქმედებს, ბევრმა გიორგი ლეონიძისა და მისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსიც წაიკითხა, ქალთა ანსამბლმა „ჩინარმა“ და მამაკაცთა გუნდმა „გარეჯელმა ბერიკაცებმა“ თავიანთი სიმღერით დაგვატკბეს, პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შესანიშნავი პერფომანსი გამართეს სახელოვანი თანასოფლელის ლექსებით, სიმბოლური ნატვრის ხით საქართველოს რუკის ფონზე. აქვე დიდი ხეების ჩრდილქვეშ მყუდრო ეზოში მოწყობილი იყო პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ გიორგი ლეონიძის შემოქმედების მოტივებზე შექმნილი ნახატების მშვენიერი გამოფენა. სხვადასხვა ნომინაციებში, მათ შორის „პორტრეტი“, „საუკეთესო კომპოზიცია“, „თანამედროვე ფუფალა“, „ფერთა გამა“, „საუკეთესო ნატვრის ხე“, „უფლებაწართმეული მარიტა“, „კადრი ფილმიდან“, „საუკეთესო აღქმა“, სხვ., გამარჯვებულ გოგო-ბიჭებს კი სამახსოვრო საჩუქრები და ფულადი პრიზებიც ერგოთ, რომლებიც მათ საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით სონღულაშვილმა** გადასცა, რომელსაც საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვით:

– გოგლაობა დიდი დღეა არა მარტო პატარძეულელებისა და, ზოგადად, ყველა კახელისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, რადგან იგი არა მხოლოდ შესანიშნავი მწერალი და პოეტი, არამედ გამორჩეული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, არაჩვეულებრივი პიროვნება და მხურვალე პატრიოტი იყო. ამდენად, მანამდე, სანამ ეს დღე ასე საზეიმოდ აღინიშნება, ვიდრე ეს ლამაზი ბავშვები ასე ხალისით იქნებიან ჩართულნი დღესასწაულის მოწყობაში, მანამდე გოგლას დიდებას ხავსი არ მოეკიდება და მით უფრო უკეთესი მომავალი ექნება ჩვენს სამშობლოს.

შთაბეჭდილების გაზიარება კიდევ რამდენიმე სტუმარს ვთხოვეთ.

პოეტი **თემურ ჩალაგაშვილი:** – გოგლა ლეონიძის დღეობა ისეთი დღესასწაულია, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველა ქართველი უნდა ზეიმობდეს. მე თითქმის არც ერთი „გოგლაობა“ არ გამიცდენია და, გულახდილად მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი დღესასწაული სიკოხტავით ნამდვილად გამორჩეული გამოვიდა, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მის ორგანიზატორ-მონაწილეებსაც და ჩამოსულ სტუმრებსაც.

„გოგლაობა“ იმითაც მიხარია, რომ ამ დღეს ჩემი მშობლიური კუთხისკენ ავიღებ ხოლმე გეზს და, არ დავმალავ, ყველა ქართველი კი მიყვარს, მაგრამ ჩემი კახეთი გულში განსაკუთრებულ გრძნობას მიჩენს და არა მგონია, ამისთვის ვინმემ დამძრახოს! განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ შარშან შემოდგომაზე დიდებული წიგნი გამოვიდა – „გიორგი (გოგლა) ლეონიძე“ ვალერი ასათიანის რედაქტორობით და კიდევ ერთხელ მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს, რომელმაც ამ დიდ საქმეს უპატრონა!

ბატონი რეზო ინანიშვილი იტყოდა ხოლმე: – ჩვენ ყველანი გოგლადან მოვდივართო, ისე, როგორც თავად გოგლა მოდის დიდი ვაჟადან. ჰოდა, მეც მეამაყება, რომ იმ დიდი გოგლადან მოვდივარ და მასავით მეც მადლიანი კახეთის შვილი ვარ!

პოეტი **ჯუბა ღეგელი:**

– ვერც კი დავითვლი, მერამდენედ ვესწრები „გოგლაობას“, ყოველი ეს დღე გულში მაქვს აღბეჭდილი, მაგრამ დღევანდელი დღესასწაული ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თავისი ფორმატით, მრავალფეროვნებით, განსხვავებული სითბოთი და ხალისით! ამ ჩვენი ულამაზესი და უნიჭიერესი ბავშვების მაცქერალს კი, კიდევ უფრო მიდუღაბდება რწმენა, რომ ყველა სიდუხჭირისა და განსაცდელის მიუხედავად, ქართველ ერს გადაშენება არ უწერია!..

* * *

ვიდრე გულუხვ მასპინძლებს დავემშვიდობებოდეთ, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში გვითხრეს, რომ ადგილობრივ გამგეობაში საუკუნეს გადაცილებული შენობის საძირკვლის გამაგრების პროექტიც შეუქმნიათ და უკვე მის განხორციელებასაც შეუდგნენ.

სახალხო დღესასწაული

ვახტანგ ვეფხვაძე
(მარჯვნივ), —
გოგლაობის
ერთ-ერთი
ორგანიზატორი

გარდა ამისა, თბილისში დაბრუნებამდე კიდევ ერთი სასიხარულო ამბავიც შევიტყვეთ: პატარძეულის მეზობლად, მასავით თვალწარმტაც სოფელ ხაშმში, ამ კუთხის კიდევ ერთი სახელოვანი შვილის, ყველასთვის საყვარელი მწერლის **რევაზ ინანიშვილის** სახლ-მუზეუმის აღდგენა-შეკეთება უახლოეს ხანში დაიწყება, რამაც კიდევ უფრო მეტი სილამაზე და ეშხი შესძინა წლევანდელ გოგლაობას.

ოთარ ტურაბელიძე

ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ ᲠᲣᲡ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲪᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲠᲒᲐᲕᲘ!...“

„ᲛᲔ ᲨᲣᲠᲡ ᲕᲘᲫᲘᲔᲑ, ᲩᲔᲛᲝ ᲫᲛᲐᲝ, ᲨᲣᲠᲡ ᲕᲘᲫᲘᲔᲑ!“

ᲓᲐᲜᲘᲔᲚ („ᲰᲘᲛᲐᲚᲐᲘ“) ᲒᲔᲠᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲤᲐᲜ-ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ

ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲐᲮᲜᲣᲢᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲠᲣᲡᲘ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲓᲐ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐᲜ ᲡᲐᲐᲠᲗᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ.

გიორგის ცხედრის გადმოსვენება საქართველში 10 ივნისს მოხერხდა, პანაშვიდი აბაშის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში გაიმართა. გიორგი დედის გვერდით დაკრძალეს. დაკრძალვას ვერ დაესწრო გიორგის მამა, რომელიც უკრაინის კიდევ ერთ ფრონტისპირა ქალაქში მიკოლაევში იმყოფება.

41 წლის გიორგი გრიგოლია უკრაინაში 2006 წლიდან ცხოვრობდა, იყო უკრაინის მოქალაქე. რუსეთის არმიის შეჭრის შემდეგ, მან ცოლ-შვილი ქვეყნიდან გახიზნა, თავად კი მოხალისედ ჩაეწერა და ხელში იარაღი აიღო.

„მე შურს ვიძიებ, ჩემო ძმაო, შურს ვიძიებ! ღმერთმა გაანათლოს შენი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა“! — ასე დაემშვიდობა სოციალურ ქსელში გიორგი გრიგოლიას უკრაინელი თანამებრძოლი მაქსიმ პავლიჩენკო. რუსეთ-უკრაინის უსასტიკეს ომში, ივნისის თვის პირველ კვირაში კიდევ ორი ქართული წარმოშობის უკრაინელი მებრძოლი დაიღუპა. 4 ივნისს, აღმოსავლეთის ფრონტზე, ლუგანსკის მიმართულებაზე, ოკუპანტებმა კირილე შანავა მოკლეს. აფხაზეთიდან დევნილი შოთა შანავას შთამომავალი, უკრაინაში დაბადებული 23 წლის კირილე, დაუდასტურებელი ინფორმაციით, სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა.

3 ივნისს კი ოკუპანტებთან ბრძოლაში, კიდევ ერთი, ქართული წარმოშობის უკრაინელი მოხალისე **ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲒᲔᲠᲚᲘᲐᲜᲘ** დაეცა. აფხაზეთიდან დევნილი გურამ გერლიანის შვილი, 22 წლის დანიელი, მეტსახელად „ჰიმალაი“, უკრაინული საფეხბურთო გრანდის, კიევის „დინამოს“ ფან-დაჯგუფების „ულტრასების“ ერთ-ერთ ლიდერი იყო.

„ჰიმალაი“ ნამდვილი მებრძოლი იყო და არა მხოლოდ სპორტში. სწორედ ამიტომ, ფართომასშტაბიანი ომის დაწყების პირველ დღეს იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მამულის თავისუფალი მომავლისთვის იბრძოდა. დასანანია, რომ „დინამოს“ ფან სექტორი დაპატარავდა, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი უკვდავია! — ნათქვამია კიევის „დინამოს“ ფან-დაჯგუფების მიერ გავრცელებულ სამძიმრის ტექსტში.

უკრაინის დროშის ქვეშ, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ, ამ დროისთვის, ასობით საქართველოს მოქალაქე, უკრაინის მოქალაქე ეთნიკური ქართველი თუ ქართული წარმოშობის უკრაინელი იბრძვის.

24 თებერვლიდან, უკრაინაში პუტინისტი აგრესორების შეჭრის დღიდან, 16 მათგანი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, სიკვდილის შემდეგ, უკრაინის გმირის წოდება მიანიჭა, ქართული წარმოშობის უკრაინელ სამხედრო მფრინავს ოლეგ გეგეჭკორს. იგი 8 მარტს ურთულესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს დაიღუპა.

ჯერჯერობით, ისევ უცნობია, მოხერხდება თუ არა, მარიუპოლის გმირული დაცვის დროს, მოკლული სენაკელი ბახვა ჩიქობავას და ტატო ბიგვავას ცხედრების გადმოსვენება. ტატოს ფესვებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში იყო.

ქართველები უკრაინელთა მხარეს, 2014 წლიდან იბრძვიან, მას შემდეგ, რაც პუტინისტურმა რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია მოახდინა და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში, უკრაინული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცა. 2014-2021 წლებში, უკრაინის დროშის ქვეშ — 27 ქართველი მეომარი დაიღუპა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲝᲚᲔᲒ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲡ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ (2014-2022):

ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲨᲐᲜᲐᲕᲐ 04.06.2022;
ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲒᲔᲠᲚᲘᲐᲜᲘ 03.06.2022;
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ 03.06.2022;
ᲠᲐᲢᲘ ᲨᲣᲠᲚᲐᲘᲐ 14.05.2022;
ᲢᲐᲢᲝ ᲑᲘᲒᲕᲐᲕᲐ 12.05.2022;
ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲝᲠᲑᲔᲚᲐᲫᲔ 23.04.2022;
ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ 16.04.2022;
ᲐᲠᲙᲐᲓᲘ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ 16.04.2022;
ᲐᲚᲘᲙᲐ ᲪᲐᲐᲕᲐ 16.04.2022;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ 09.04.2022;
ᲜᲘᲙᲐ ᲨᲐᲜᲐᲕᲐ 09.04.2022;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27.03.2022;
ᲑᲐᲮᲕᲐ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐ 19.03.2022;
ᲒᲘᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 17.03.2022;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ 17.03.2022;
ᲝᲚᲔᲒ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ 08.03.2022;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐ 18.04.2021;
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ 31.10.2017;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ 11.05.2017;
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ 08.10.2016;
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲥᲣᲗᲔᲚᲘᲐ 09.12.2015;
ᲠᲔᲖᲝ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ 29.04.2016;
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲚᲘ 08.08.2015;
ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲐᲨᲮᲘᲐ 01.07.2015;
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ 18.04.2015;
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 17.01.2015;
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 18.12.2014.

<u>ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲔᲜᲘᲫᲔ:</u> „ᲗᲣ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ, ᲐᲥ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲜ!“

(ᲔᲗᲔᲥᲕᲡᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲫᲔ) ამ შემთხვევაში ორივე ერთმანეთს ემთხვევა. ევროპარლამენტის რეზოლუციაში მართლა სისულელე ეწერა — საქართველო თურმე სანქციებს იმიტომ არ შეუერთდა, რომ ივანიშვილს კავშირები აქვს რუსეთთან.

— და რატომ ვერ შეძლეს მათი გადარწმუნება?

— აი, ის ორი მომენტია, რომელიც ვახსენე. „ოცნების“ მოწინააღმდეგეები მარტივად „ყიდიან“ თავიანთ სათქმელს, რომ „ივანიშვილი რუსეთის კაცია“ და ამით აიხსნება. საქართველო პრინციპში, ცუდად არ იქცევა ამ ომის (უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის — **რედ.**) დროს, მაგრამ განცხადებები კეთდება („ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან — რედ.) უაზრო და გაუგებარი, რაც საფუძველს აძლევთ „ოცნების“ მოწინააღმდეგეებს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც.

— ამ განცხადებებზე მორატორიუმის აღებას წინ რა უდგას? ამ განცხადებებს რაღაც მიზანი ხომ უნდა ჰქონდეთ?

— არ ვიცი. ეს ნამდვილად გაუგებარია.

— ბოლო დღეებია, მათ შორის ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან გვესმის, რომ დაველოდებით კანდიდატის სტატუსზე გადაწყვეტილებას და შემდეგ „ყველაფერს ფარდა აეხდებაო“. როგორ გესმით ეს გზავნილი?

— დაშანტაჟებად ვერ შევაფასებ, რადგან ასეთი რამით ვერ დააშინებ (დასავლეთს — **რედ.**), უბრალოდ კვლავ შიდა აუდიტორიაზეა გათვლილი. არ არის გამორიცხული, შემდეგ ითქვას, „ჩვენ რაღაც მოგვთხოვეს, მაგრამ არ გავაკეთეთ, ქვეყანა არ ჩავრთეთ ომში და ამიტომ დაგვსაჯეს“ — არაა გამორიცხული შემდეგ მსგავსი ხაზით დაიწყონ საუბარი.

— პრინციპში, ამისთვის ნიადაგი შემზადებულია: გასული თვეების განმავლობაში ამ მიმართულებით მინიშნებები იყო...

— დიახ, იყო და ვფიქრობ, ამის გაგრძელება იქნება. ნამდვილად არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ უკრაინელების მხრიდან ზოგიერთი განცხადება აბსოლუტურად მიუღებელი იყო. შესაძლოა, კულისებშიც რაღაც ხდებოდა, რაც ჩვენ არ ვიცით. ვერაფერს ვიტყვი.

— იმ ფონზე, როდესაც პარტნიორების მხარდაჭერაზეა ქვეყანა დამოკიდებული ბევრი მიმართულებით და ქვეყნის ხელისუფლება მათთან მსგავს კონფრონტაციაში შედის, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რისი იმედი აქვთ?

— ახლა რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, მე მგონი, „ოცნება“ ისევ მოიგებს (ომის და მშვიდობის შესახებ გზავნილებით) და მათთვის სწორედ ეს არის მთავარი. ხოლო დასავლეთმა საქართველოს ბოლომდე ზურგი რომ აქციოს, მართალი გითხრათ, არ მგონია. სტატუსი შესაძლოა, არ მივიღოთ, მაგრამ ბოლომდე ზურგის შექცევა არ მგონია, მოხდეს.

— ანუ, ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ შესაძლოა, ამაზე ამყარებდეს იმედს, რომ ხელს მაინც არ „გაგვიშვებენ“ და სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, კულტურის და ა.შ. უამრავი მიმართულებით, კვლავ შენარჩუნდება?

— კი ბატონო.

— და სტატუსზე რა გადაწყვეტილებას ელით? „ყველაფერს ფარდას ავხდითო“ გვიანონსებენ...

— პირობები ყველა შემთხვევაში იქნება და ეს არაა ტრაგედია. ყველაზე რეალური ვარიანტი მგონია, რომ სამივეს მოგვცენ (სტატუსი — **რედ.**); **მეორე,** ნაკლებად რეალური — არც ერთს არ მოგვცენ და შემდეგ ყველაზე ნაკლებად რეალური — მხოლოდ ჩვენ არ მოგვცენ.

და ეს უნდა განვიხილოთ, როგორც მეტწილად პოლიტიკური გადაწყვეტილება რეგიონის კონტექსტში.

რაც შეეხება „ფარდის ახდას“, პირობების შემთხვევაში (სტატუსის პირობებით მონიჭების — რედ.) არ ველი, ეს უფრო უარის შემთხვევაში იქნება და იმედი მაქვს, წითელ ხაზებს არ გადაკვეთენ.

— ვარაუდობთ, რომ სტატუსს პირობებით მივიღებთ...

— დიახ და ეს არაა ტრაგედია.

— ცხადია, როდესაც ქვეყანა მზად არაა, პირობები უკეთესი ვარიანტია, რადგან ჩვენი მიზანი ხომ რეფორმებია, რომ შედეგი ჩვენს ცხოვრებაზე აისახოს, მაგრამ მმართველ გუნდს შენიშვნების მიმართ აბსოლუტური მიუღებლობა აქვს...

— მგონია, რომ მშვიდად მიიღებენ შენიშვნებს, მაგრამ რამდენად განახორციელებენ რეკომენდაციებს, ეს კიდევ სხვა თემაა. ვფიქრობ, ევროკავშირმა ერთი საკითხი უნდა გაითვალისწინოს — თუ სტატუსს არ მისცემს საქართველოს და მისცემს უკრაინასა და მოლდოვას, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში იქნება იმედგაცრუება არა მხოლოდ „ოცნებით“, დასავლეთითაც და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ შემდეგ რუსული პოზიციები გაძლიერდება და ეს უნდა გაითვალისწინონ. თუ ვინმეს აქვს მოლოდინი დასავლეთში, რომ ამის შემდეგ ხალხი გამოვარდება და ახალ „ვარდების რევოლუციას“ მოაწყობს... „ვარდების რევოლუცია“ აღარ ხდება. შესაბამისად, ეს უნდა გაითვალისწინონ და სჯობს, მაინც მოგვცენ სტატუსი — ეს მათ მეტი კონტროლის საშუალებას მისცემს იგივე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისას, სხვა თუ არაფერი...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

რუსთავის საქალაქო სასამართლოს (შემდგომში - სასამართლო) 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-122-22), საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხელა-გოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040- კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტის (შემდგომში - პროექტი) განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, მოქალაქე ვალერიანი მიქელაძის (პ/ნ 12001062479) საკუთრებაში არსებულ, შემდეგი უძრავ ქონებაზე: 1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.958; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) სრულ ფართობზე - 4 483 კვ. მეტრზე; 2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.960; ნაკვეთის წინა ს/კ 81.10.28.770) სრულ ფართობზე - 228 კვ. მეტრზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება), რაზეც 2022 წლის 13 მაისს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

ნიშანდობლივია, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, საექსპროპრიაციო ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „თიბისი ბანკი“-ს (ს/კ 204854595) (შემდგომში - ბანკი) მიერ (იპოთეკის ხელშეკრულება №1231232825575, დამოწმების თარიღი 09/10/2020, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882020749647, თარიღი 09/10/2020).

აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შემოთავაზებული, საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვის მიზნით, დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირებული იპოთეკის მოხსნას და დეპარტამენტში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების წარმოდგენას, რომელზეც დეპარტამენტი განახორციელებს საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვას, წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს მითითებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში იმის გათვალისწინებას, რომ დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის დანაწესების თანახმად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხა განთავსდება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამასთან, დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს გაითვალისწინოს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრეს უფლება აქვს, საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შეთავაზებული ღირებულების ოდენობაზე, იდაოს სასამართლო წესით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შეფერხების გარეშე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე გიორგი ომიაძის (პ/ნ 01002018062) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.28.829) ფართობით 1 200 კვ.მ (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 06 მაისის №1-1/205 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე გიორგი ომიაძის (პ/ნ 01002018062) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიან მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.829) ფართობით 1 200 კვ.მ. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

„ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲗᲐ!

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ეკოტურისტული კვლევითი ორგანიზაცია „Linking Tourism & Conservation Society“ საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას აქვეყნებს. „ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვის საქართველო სამოთხეა“, — ამ სათაურით „Linking Tourism & Conservation Society“ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს აღწერს. სტატიის ავტორებმა კრისტოფ პროკოშმა და კრისტოფ ზოკლემა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურეს.

„დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და ნორვეგიიდან ჩამოსულმა ჯგუფებმა საქართველოში გამოიკვლიეს თუ რამდენად მიმზიდველია ეს ქვეყანა ფრინველებზე დაკვირვების მოყვარული ტურისტებისთვის. დასკვნები შთამბეჭდავია, საქართველოს აღმოსავლეთით, დაცულ ტერიტორიებზე ერთკვირიანი ვიზიტისას ჩვენ 157-ზე მეტი სახეობის ფრინველი ვიხილეთ, მათ შორის იყო: კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო, რომლებიც საუკეთესო ბუნებრივ პირობებში იმყოფებიან. გაზაფხულზე საქართველოში ძალიან ბევრ გადამფრენ ფრინველს ხილავთ. ჩვენ შედარებით ადრე მოგვიწია საქართველოში ჩასვლა, ფრინველების მიგრაციის პიკი ჯერ არ იყო, თუმცა გადამფრენ ფრინველთა სულ მცირე 15 სახეობას დავაკვირდით. მგალობელ ფრინველთა ნაწილი საქართველოში გვიან მოფრინდა, რადგან გაზაფხულის მოსვლა ცოტა დაგვიანდა. მიუხედავად ამისა ჩვენ 7 სახეობის ტოროლა და 4 სახეობის მეღორღია ვიხილეთ“, — აღწერენ ნორვეგიული ორგანიზაციის მკვლევრები.

„ვინც საქართველოში სამოგზაუროდ ჩადის გამორჩეული მასპინძლობით ხვდებიან. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველებმა ტურისტული ინფრასტრუქტურა მოაწყვეს. საქართველო გამორჩეულია კულტურული სიმდიდრით, შესანიშნავი კერძებითა და ღვინის უძველესი კულტურით.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ქვეყანას ვიზიტორთათვის მრავალფეროვანი კულტურული ფასეულობები შეუძლია შესთავაზოს. მიუხედავად მცირე ფართობისა საქართველო ევროპაში ყველაზე საოცარი და მრავალფეროვანი ეკოზონებით გამოირჩევა“, — ვკითხულობთ „Linking Tourism & Conservation Society“ ვებ-გვერდზე. სტატიაში აღწერილია ვაშლოვანისა და ყაზბეგის ეროვნული პარკები.

სტატიის ბოლოში კი რჩევებია მათთვის, ვინც საქართველოში მოგზაურობას და ფრინველებზე დაკვირვებას გეგმავს. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ!

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ უფლებების საკითხებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა, მიშელ ბაჩელეტმა განაცხადა, რომ გლობალურ დონეზე სურსათის, საწვავისა და ფინანსური კრიზისის გამო, მილიონობით ადამიანი სასურსათო დაუცველობისა და სიღარიბის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს.

მიშელ ბაჩელეტმა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წინაშე რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად გამოწვეულ ქაოსსა და ნგრევაზე ისაუბრა.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ ბოლოს შევიკრიბეთ, უკრაინაში მიმდინარე ომი კვლავ ანადგურებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს. მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მიყენებული საშინელება წარუშლელ კვალს დატოვებს, მათ შორის მომავალი თაობებისთვის. მისი (ომის) სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები რეგიონში და გლობალურ დონეზე ვრცელდება და მას დასასრული არ უჩანს“, — აღნიშნა მიშელ ბაჩელეტმა. მსოფლიო სასურსათო პროგრამის მონაცემების თანახმად, მოსალოდნელია, რომ მძიმე სასურსათო დაუცველობის პირობებში მცხოვრები ადამიანების რიცხვი 2022 წლის დასაწყისში 276 მილიონიდან წლის განმავლობაში 323 მილიონამდე გაიზრდება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2022 წლის 25 ივნისს (შაბათს), 15 საათზე ტარდება ფაზისის (კოლხეთის) საერო — სამეცნიერო აკადემიის რიგგარეშე ყრილობა. აკადემიის წევრებს გთხოვთ, მობრძანდეთ !

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის №7, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

◎ ბატუტზე ხტომა

იტალიიდან – უხვი ნადავლით

მარცხნიდან – ზაურ სულაშვილი, ანა ლაპიაშვილი, მაია ბოჭორიძე.

საძართველოში ბატუტზე ხტომას საფუძველი 1969 წელს ჩაეყარა, საერთაშორისო ასპარეზზე კი ჩვენები 1970-იანი წლებიდან გამოჩნდნენ. რუსუდან ხოფერიამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე არაერთ გამარჯვებას მიაღწია, მისმა მეწყვილე ანა დოღონაძემ კი, მას შემდეგ, რაც გერმანიაში გათხოვდა, 2004 წელს ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. ამ გამარჯვებებს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ცოტა ხნის წინ ბატონ ზაურს სპორტის რაინდის წოდებაც მიენიჭა.

ქართველი ბატუტზე მხტომელები მიღწეულს არ სჯერდებიან და ახალ-ახალი მიღწევებით ანებივრებენ ქომაგებს. ამას წინათ ისინი, როგორც ვწერდით, იტალიის ქალაქ რიმინიში გამართულ ორ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ – მსოფლიოს თასსა და ევროპის ჩემპიონატში. მსოფლიოს თასზე სამი ქართველი სპორტსმენი ასპარეზობდა. ასეთ მნიშვნელოვან ტურნირში პირველად ცდიდა ძალებს 18 წლის **ანანო აფაქიძე.** ჯილდოებისთვის მებრძოლ 54 მხტომელს შორის მან საკვალიფიკაციო ეტაპზე 53.530 ქულით მე-2 ადგილი დაიკავა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, იქ კი 53.170 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველ-მეორე ადგილებზე სარა ვექსტერი (აშშ, 53.400) და ლეონი ადამი (გერმანია, 53.240) გავიდნენ. ლუბა გოლოვინამ (51.190) მე-17, თეონა ჯანჯღავამ (50.950) კი 22-ე ადგილი დაიკავა. **ჯანჯღავა** აფაქიძესთან ერთად სინქრონულ ხტომებში 21 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის 46.430 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აფაქიძე ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების ფინალისტია როგორც ინდივიდუალურ, ისე სინქრონულ ხტომებში. თეონა ჯანჯღავა ანა ოდიშვილთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონია სინქრონულ ხტომებში ახალგაზრდებს შორის და ლუბა გოლოვინასთან ერთად მინსკში მეორე ევროპული თამაშების ფინალში იყო. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** გვითხრა, სინქრონულ ხტომებში აფაქიძე-ჯანჯღავას მსგავსი შედეგი ორ ათეულ წელიწადზე მეტია, არ გვქონია, მას შემდეგ, რაც რუსუდან ხოფერიამ და ანა დოღონაძემ (სანამ გერმანიაში გათხოვდებოდა) სამჯერ მსოფლიოს თასი და ერთხელ სუპერთასი მოიპოვეს. არადა, ანანოს და თეონას დუეტი მხოლოდ სამიოდე თვეა, ერთად ვარჯიშობს.

მარცხნიდან – ანანო აფაქიძე, სოფიო დაშნიანი, თეონა ჯანჯღავა, ლუბა გოლოვინა, ზაურ სულაშვილი

იტალიურ რიმინიში ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატიც გაიმართა ორ ასაკში. უფროსებში კარგი შედეგი აჩვენა ოლიმპიური თამაშების მრავალგზის მონაწილე **ლუბა გოლოვინამ,** რომელმაც 54.300 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. აფაქიძე 52.210 ქულით მეშვიდე იყო. სამაგიეროდ, ანანო აფაქიძემ და თეონა ჯანჯღავამ სინქრონულ ხტომებში 46.950 ქულით ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ბრიტანელთა (47.750) და ნიდერლანდელთა (46.950) დუეტები გავიდნენ. რაც შეეხება საქართველოს ოთხეულს (ლუბა გოლოვინა, ანანო აფაქიძე, თეონა ჯანჯღავა, **სოფიო დაშნიანი**), გუნდურ შეჯიბრებაში 11 ქულით ვერცხლის მედალი ხვდა.

წარმატებით იასპარეზეს ახალგაზრდებმაც: ინდივიდუალურ ხტომებში მარიამ რაგიმოვამ 51.880 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, ანა ლაპიაშვილი მე-15 იყო, ხოლო **მაია ბოჭორიშვილი** ვარჯიშის ბოლოს დამცავ ლეიბს შეეხო და ერთეულთა შეჯიბრებას გამოეთიშა. სამაგიეროდ, იგი სინქრონულ ხტომებში იყო უძლიერესი – **ანა ლაპიაშვილთან** ერთად 46,660 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

კონტინენტის პირველობაზე ჩვენებმა ხუთი მედალი მოიპოვეს – ერთი ოქროსი, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი, რაც ზაურ სულაშვილთან ერთად ქართველი მწვრთნელების – ირმა სოლოღაშვილის, ლუდა გოლოვინას, ზურაბ კიკნაძის, როზა ბერიკაშვილის, ლია ხრიკულის, რევაზ გამხოშვილისა და რუსუდან ხოფერიას დიდი გარჯის შედეგია. საგულისხმოა, რომ **ხოფერია** ევროპის ჩემპიონატზე ქალთა შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო. იგი ევროპის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციამ, როგორც კონტინენტის საუკეთესო არბიტრი, სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა.

„იტალიაში ისტორიულ შედეგებს მივაღწიეთ, რაშიც სპორტსმენებსა და მწვრთნელებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციას, სპორტის სამინისტროს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ექიმებს – ზურაბ კახაბრიშვილს, ვალერი ახალკაცს, გიორგი ლომიძეს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ორივე ტურნირზე საუკეთესო შედეგები გვეჩვენებინა“, – აღნიშნა სამშობლოში დაბრუნებულმა ზაურ სულაშვილმა.

მარიამ ლეიაშვილი

◎ ჭადრაკი

სალომე მელია

ფინიშამდე ორი ტურით ადრე

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის პირველობაში სხვადასხვა კუთხის 10 წარმომადგენელი წრიული სისტემით უპირისპირდება ერთმანეთს. ასპარეზობის საპრიზო ფონდია 25.000 ლარი (ჩემპიონს 8.000 ლარი გადაეცემა, დანარჩენები დაჯილდოვდებიან: II – 6.000, III – 4.000, IV – 2.500, V – 1.700, VI – 1.100, VII – 700, VIII – 500, IX – 300, X – 200 ლარით). პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები 2022 წლის ევროპის ქალთა 22-ე ჩემპიონატზე (19 აგვისტოდან პირველი სექტემბრის ჩათვლით ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართება) გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

ჩემპიონატის ბოლომდე ორიოდე ტური დარჩა. მეშვიდე ტურში ნინო ბაციაშვილისა და ლელა ჯავახიშვილის შეხვედრა ცენტრალური აღმოჩნდა. გაიმარჯვა თეთრი ფიგურებით მოთამაშე ბაციაშვილმა. წარმატებას მიაღწია სალომე მელიამაც – თეთრებით თამარ ესაძეს აჯობა. მერი არაბიძე მაკა ფურცელაძეს შეუთანხმდა ყაიმზე; სოფიო გვეტაძემ ელენე წოწონავას მოუგო, ალექსანდრა ვახანიამ კი დიანა ლომაია დაამარცხა.

შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით სალომე მელია და ნინო ბაციაშვილი დაწინაურდნენ. 5 ქულით მესამე ადგილზეა ჯავახიშვილი. მომდევნო ადგილებზე არიან: მაკა ფურცელაძე – 4, სოფიო გვეტაძე, დიანა ლომაია – 3.5-3.5, ალექსანდრა ვახანია, მერი არაბიძე – 3-3, ელენე წოწონავა, თამარ ესაძე – 0.5-0.5 ქულა.

მარიამ გიკაშვილი

◎ ფეხბურთი

დასანანი ფრე

ერთა ლიგის C დივიზიონის მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთს უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი სოფიაში ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით (5:2) დასრულდა, ამიტომ „დინამო არენას“ პირთამდე სავსე ტრიბუნები განმეორებითი შეხვედრისას ვილი სანიოლის შეგირდებისგან ისევ წარმატებას ელოდნენ. ქართველებმაც ორთაბრძოლის მოსაგებად და გათამაშების ცხრილში მორიგი სამი ქულის ჩასაწერად ყველაფერი გაიღეს. ჩვენი გუნდი ორივე ტაიმში დიდ უპირატესობას ფლობდა. შესვენებამდე ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქის კარისკენ ცხრაჯერ გაგზავნეს ბურთი, რვაჯერ კუთხურიც ჩააწოდეს, მაგრამ მიხაილოვის კარს საფრთხე ვერ შეუქმნეს.

საგოლე მომენტები მეორე ტაიმში უფრო იყო, განსაკუთრებით 61-ე წუთზე, როცა კვარაცხელიამ და მიქაუტაძემ ბურთის კარში შეგდების ზედიზედ ორი შანსი ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები, რომელმაც ბულგარეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა – **ლორია; ხოჭოლავა, კაშია, დვალი; ლობჟანიძე, მექვაბიშვილი (დავითაშვილი 63), კვეკვესკირი, აზაროვი (კიტეიშვილი 63); ყაზაიშვილი (წიტაიშვილი 52), მიქაუტაძე (ზივზივაძე 80), კვარაცხელია** – ნულოვან ფრეს დასჯერდა, ერთა ლიგაზე ოთხი ტურის შემდეგ 10 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზეა. ჩრდილოეთმა მაკედონიამ ბოლო ტურში გიბრალტარს მოუგო 4:0 და 7 ქულით მეორეა.

საგულისხმოა, რომ ჩვენმა გუნდმა 2021 წლის ოქტომბრიდან ცხრა მატჩიდან 7 მოიგო და 2 ფრედ დაამთავრა. საქართველოს ნაკრები ერთა ლიგაზე მომდევნო ორთაბრძოლას წლეულს 23 სექტემბერს თბილისში კონკურენტ ჩრდილოეთ მაკედონიასთან გამართავს.

მერაბ ტატურაშვილი

◎ ჩოგბურთი

მეორე ზონისთვის

დევისის თასის გათამაშების ევროპული ზონის მესამე ჯგუფის გუნდები 22-25 ივნისს მონტენეგროს ქალაქ ულცინში მოიყრიან თავს. მეორე ჯგუფში გადასასვლელი საგზურებისთვის რვა ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, კვიპროსი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მონტენეგრო და ჩრდილოეთი მაკედონია) წარმომადგენლები იბრძოლებენ. ასპარეზობის წინა დღეებში ისინი წილისყრით ორ ქვეჯგუფში გადანაწილდებიან, სადაც პაექრობები წრიული სისტემით გაიმართება. ჯგუფების გამარჯვებულები და ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი მეორე ჯგუფში გადასასვლელად ითამაშებს, სამი გუნდი ისევ მესამე ჯგუფში დარჩება, ხოლო ბოლო ადგილებზე გასული ორი გუნდი მეოთხე ლიგაში დაქვეითდება.

საქართველოს ნაკრები (სანდრო მეტერეველი, საბა ფურცელაძე, ალექსანდრე ბაკში და ზურა ტყემალაძე, კაპიტანი დავით კვერნაძე) მონტენეგროში 19 ივნისს გაემგზავრება.

მარიამ კვარაცხელია

წინა კვირას ქართველ ჩოგბურთელებს თავი არაფრით გამოუჩენიათ და ეს მათს განახლებულ რეიტინგებზეც აისახა, რომლებიც ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა გამოაქვეყნეს. მართალია, **ზოზია ქარდავამ** მსოფლიოს კლასიფიკაციაში 23 ადგილით წინ წაიწია, მაგრამ **ნინო ნაცვლიშვილი** 61, **მარიამ დალაქიშვილი** 62, ხოლო **თამარ გაგოშიძე** 99 საფეხურით ჩამოქვეითდა. ვაჟებში **ალექსანდრე ბაკში** 84 საფეხურით დაწინაურდა. **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** 35 ქულა დაკარგა. 1628 ქულით ის ახლა 25-ე ადგილზეა.

ვაჟები

ერთეულები 699 (710). საბა ფურცელაძე (30), 706 (685). ალექსანდრე მეტრეველი (29), 814 (898). ალექსანდრე ბაკში (19), 1122 (1128). ზურა ტყემალაძე (7). 1249 (1248). გიორგი ცივაძე (5).

წყვილები. 505 (566). ალექსანდრე ბაკში (100), 555 (557). ალექსანდრე მეტრეველი (85), 788 (796). ნიკოლოზ ბასილაშვილი (45), 899 (940). საბა ფურცელაძე (34), 1177 (1190). ზურა ტყემალაძე (17).

განახლებული რეიტინგით

ქალები

ერთეულები. 112 (112). ეკატერინე გორგოძე (580), 170 (168). მარიამ ბოლქვაძე (391), 322 (324). სოფიო შაფათავა (198), 946 (884). მარიამ დალაქიშვილი (22), 963 (986). ზოზია ქარდავა (21), 1203 (1142). ნინო ნაცვლიშვილი (11), 1472 (1373). თამარ გაგოშიძე (5), 1545 (1560). სალომე დევიძე (3).

წყვილები. 55 (54). ეკატერინე გორგოძე (1489), 82 (78). ოქსანა კალაშნიკოვა (1094), 245 (244). მარიამ ბოლქვაძე (370), 416 (418). სოფიო შაფათავა 9182), 842 (823). მარიამ დალაქიშვილი (41), 892 (905). ნინო ნაცვლიშვილი (37), 895 (892). ზოზია ქარდავა (37), 991 (1000). თამარ გაგოშიძე (28).

ანა პაპასკირი

ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ, ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ



ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი, ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ.

აკადემიკოსმა გოჩა ჩოგოვაძემ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი გზა განვლო. იგი დაიბადა 1941 წლის 11 იანვარს ქ. ქუთაისში. 1958 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. 1971 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მის მიერ დაარსებული მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრის გამგედ. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ დარგობრივ კვლევით ლაბორატორიას. 1976 წლიდან იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორია. 1981- 86 წლებში მუშაობდა საფრანგეთში, პარიზში იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად. 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად, რომელსაც 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1994-2004 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში. 2004 წლიდან გ. ჩოგოვაძე იყო იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე იყო გამოჩენილი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებას და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მისი სამეცნიერო კვლევები ეხებოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი. მისი სამეცნიერო მიღწევებიდან აღსანიშნავია რელაციურ დამოკიდებულებათა თეორია, მონაცემთა ბაზების ლოგიკური სქემების ავტომატიზებული დაპროექტება, ექსპერტული სისტემების კონცეპტუალური მეთოდები და სხვა.

გოჩა ჩოგოვაძეს 1975 წელს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება, 1993 წლიდან კი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). იგი იყო ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი, საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების გაერთიანების პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხეთის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი.

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე იყო 20 მონოგრაფიის, 6 გამოგონებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, რუსეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი ქართველი მეცნიერი, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მას საერთაშორისო ასპარეზზე ქართული მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში: 2002 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის დაარსებას, სადაც მზადდება კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის სპეციალობაში, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მუშაობას.

აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ასევე მთლიანად ქართული მეცნიერებისათვის. გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი, გულისხმიერი და ყურადღებიანი კოლეგა და ხელმძღვანელი — ასეთად დარჩება ბატონი გოჩა მისი მრავალრიცხოვანი კოლეგებისა და მოსწავლეების მეხსიერებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ, ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ნათელა, ივეტა, ნინო ლაღიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი ადამიანის, აკადემიკოს

ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს — მანანას, შვილს — ირაკლის და უახლოეს ნათესავებს.

სიყრმის მეგობრები ბელა ლოლაძე და ომარ მარგველაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, უკეთილშობილესი ადამიანი და ღირსეული პიროვნება

ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ — ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, პროფესორი ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ.

გოჩა ჩოგოვაძე დაიბადა 1941 წლის 11 იანვარს ქუთაისში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 56-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, 1963 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დატოვებულ იქნა გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე, სადაც 1964-67 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1968 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1971 წელს გ. ჩოგოვაძის თაოსნობით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა, რომლის პირველ გამგედ იქნა არჩეული. 1975 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1976 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1976 წლიდან ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ დარგობრივ კვლევით ლაბორატორიას.

პროფესორმა გ. ჩოგოვაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სამრეწველო ობიექტების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის და გაანგარიშების თეორიასა და პრაქტიკაში.

მისი სამეცნიერო კვლევები ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებას შეეხება, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერება, სახელდობრ — ხელოვნური ინტელექტი.

პროფესორ გ. ჩოგოვაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია 20 მონოგრაფიაში, 6 გამოგონებასა და 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთაგან ბევრი გამოქვეყნებულია აშშ-ში, რუსეთში, ინგლისში, ჩინეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. იგი მრავალი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი და სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტი იყო.

პროფესორ გ. ჩოგოვაძის სახელმძღვანელოებზე მრავალი თაობა აღიზარდა. პროფესორ გ. ჩოგოვაძის მოწაფეები დღეს აღიარებული მეცნიერები და სპეციალისტები არიან.

1981-1986 წლებში გ. ჩოგოვაძე მუშაობდა საფრანგეთში, პარიზში იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად.

1986-1988 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ ცკ-ის განათლებისა და მეცნიერების განყოფილებას, წლების მანძილზე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1988-1994 წწ. გ. ჩოგოვაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორია. პროფესორ გ. ჩოგოვაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე პრინციპების დამკვიდრების დაწყება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელმაც 1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო. 1990 წლის 14 სექტემბერს სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტონომიის დეკლარაცია. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა საინჟინრო განათლების პარალელურად ჰუმანიტარული სპეციალობების დაფუძნება. გაიხსნა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, სადაც მოწვეულ იქნენ თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები, გაიხსნა ახალი კათედრები, სწავლება თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადავიდა.

1992 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტს, რომელიც ამ დარგის მაღალკვალიფიციურ კადრებს უშვებს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროფესორ გ. ჩოგოვაძის, როგორც რექტორის ღვაწლი მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაკავშირებასა და საქმიანი კონტაქტების გაღრმავებაში.

აკადემიკოსი გ. ჩოგოვაძე საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების კავშირის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. არჩეული იყო საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად, რუსეთისა და ჩეხეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად და მრავალი საერთაშორისო აკადემიის წევრად.

1994 წელს აკადემიკოს გ. ჩოგოვაძე წარგზავნილ იქნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთსა და ესპანეთის სამეფოში.

აკადემიკოს გ. ჩოგოვაძის, როგორც მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი რეკომენდაციით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „ფრანკოფონიის“ წევრი გახდა, ხოლო 2002 წელს საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს, სადაც მზადდება კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის სპეციალობებში.

გ. ჩოგოვაძე დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით იგი 2001 წელს უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ანსამბლი „ჩვენებურები“ მთლად ჩვენებურად შეიმოსა!

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 20-წლიანი ისტორიის მქონე ფოლკლორულ ანსამბლს „ჩვენებურები“ საჩუქრად ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ანსამბლის წევრები, ასევე, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე — გიორგი გაბუნია ესწრებოდნენ.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე კულტურის მინისტრმა სახელმწიფო და კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე მდგარ გამოწვევებზე ისაუბრა, მათ შორის ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემაზე. კერძოდ, მაღალი ხარისხის, სპეციალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობაზე.

ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ (ხელმძღვანელი — გიორგი გობეჯიშვილი) 2001 წელს შეიქმნა. არსებობის განმავლობაში ანსამბლი არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა თუ კონცერტის მონაწილე და მასპინძელი იყო. სხვადასხვა წლებში „ჩვენებურებს“ კონცერტები გამართული აქვს უკრაინაში, ესტონეთში, პოლონეთში, ლატვიაში და სხვა. ანსამბლი დღემდე არ კარგავს აქტუალობას, აქვს მოწვევები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ფესტივალებიდან. „ჩვენებურები“ რეგულარულად აწყობს ფოლკლორულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლის მიზანია ფოლკლორის ზეპირსიტყვიერი, სასიმღერო და ქორეოგრაფიული ტრადიციების შენარჩუნება, მივიწყებული ნიმუშების მოძიება და აღდგენა, უნიკალური შემსრულებლების პოვნა და წარმოჩენა.

ექსპედიციებს ახლავს „ჩვენებურების“ კონცერტები. ანსამბლი „ჩვენებურები“ შედგება ცხრა წევრისაგან. თითოეული მათგანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელია. ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია ქართული ხალხური სიმღერის სამივე ხმით შესრულება, ასევე, ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრა და ცეკვა. ანსამბლის თითოეული წევრი გამოირჩევა განსაკუთრებული და სახასიათო ხმის ტემბრით.

ქართული ღვინის კომპანიები ლონდონში

ლონდონის საგამოფენო ცენტრში „Olympia London“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „London Wine Fair 2022“ გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 17 კომპანია მონაწილეობდა.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებენ ღვინის კომპანიების მხარდაჭერას, რათა მათ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ ღვინის მსოფლიო ბაზარზე. ლონდონში გამართულ გამოფენას ესწრებოდნენ ღვინის ექსპერტები, ღვინით ვაჭრობის სფეროსა და მედიის წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. გამოფენაში მონაწილეობა საუკეთესო შანსია ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რომ საკუთარი პროდუქცია წარუდგინონ ინგლისელ მომხმარებელს, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდას, როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა სტრატეგიულ ბაზარზე“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ **დავით ტყემალაძემ.**

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ხელმძღვანელმა, ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა **სარა ებოტმა** ქართული ღვინის წარდგინება-დეგუსტაცია ღვინის პროფესიონალებისთვის ჩაატარა. გამოფენაზე, რომელიც 1981 წლიდან ტარდება და ღვინის სექტორში ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებადაა მიჩნეული, მიმდინარე წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 400-მდე მონაწილეს სხვადასხვა სახეობის 3 ათასზე მეტი ალკოჰოლიანი სასმელი ჰქონდა წარმოდგენილი. გამოფენას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **სოფიო ქაცარავა** და დესპანი **გიორგი საგანელიძე** დაესწრნენ.

ქართული ღვინისთვის დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები ხორციელდება. მიმდინარე წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან დიდ ბრიტანეთში 260 ათასამდე ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 53%-ით მეტია.

ფულს სახელი ამჯობინა...

მას შემდეგ, რაც ჯონი დეპმა ემბერ ჰერდის წინააღმდეგ ცილისწამების საქმეზე სასამართლო პროცესი მოიგო, უცხოური მედია აქტიურად წერს, რომ დეპი ყოფილ მეუღლისგან თანხის აღებას არ გეგმავს.

ამ ინფორმაციას დეპის ადვოკატის განცხადება ამყარებს.

„დეპმა უკვე განაცხადა სასამართლოში, რომ საქმე არასდროს ყოფილა ფულში. საუბარი იყო მისი რეპუტაციის აღდგენაზე, რასაც მიაღწია. ექვსი წლის შემდეგ, მან საკუთარი ცხოვრება დაიბრუნა“, — ამბობს უფლებადამცველი. 1 ივნისს, ნაფიცმა მსაჯულებმა დაადგინეს, რომ ჯონი დეპმა კომპენსაციის სახით 10 მილიონი დოლარი და საჯარიმო ზარალის სახით 5 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ჯონი დეპს საჩივრის ყველა პუნქტი არ დაუკმაყოფილეს და მან კომპენსაციის სახით ემბერ ჰერდს 2 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

ბრიტანელი კენტავრი

37 წლის მეხანძრემ ბრიტანეთში ყოველწლიური რბოლა „ადამიანი ცხენის წინააღმდეგ“ მოიგო. რბოლა ტრადიციულად უელსში გაიმართა. რიკი ლაიტფუტმა 36-კილომეტრიანი დისტანცია 2 საათსა და 22 წუთში დაფარა და 1000 მორბენალსა და 50 ცხენს აჯობა. თუმცა ფინიშის ხაზის გადაკვეთისას კაცი თავის გამარჯვებაში დარწმუნებული არ იყო, რადგან ადამიანები და ცხოველები ოდნავ განსხვავებული მარშრუტით მოძრაობენ. მოგვიანებით მან ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ რბოლამდე 29 საათი არ უძინია, რადგან უელსში ტენერიფედან ჩავიდა.

რბოლა „ადამიანი ცხენის წიინააღმდეგ“ 1980 წლიდან ტარდება და ეს ადამიანის გამარჯვების მხოლოდ მესამე შემთხვევაა. პირველად ადამიანმა ცხენებს 2004 წელს აჯობა, ბოლოს კი ეს 2007 წელს მოხდა. გამარჯვებისთვის ლაიტფუტმა 3 500 ფუნტი მიიღო.

უდიდესი მტაცებელი დინოზავრი

ბრიტანელმა მეცნიერებმა კუნძულ უაითზე ევროპის ყველაზე დიდი მტაცებელი დინოზავრის ნეშტი აღმოაჩინეს. დინოზავრი 125 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა, მისი სხეულის სიგრძე კი 10 მეტრს აღემატებოდა. ცხოველი 2 თათზე დადიოდა, ნიანგის მსგავსი სახე ჰქონდა და სპინოზავრიდთა სახეობას მიეკუთვნებოდა.

ამ ეტაპზე პალეონტოლოგებმა დინოზავრის მენჯისა და კუდის მალების ნამარხი ნაშთები იპოვეს. მათ იმედი აქვთ, რომ მალე ნეშტის სხვა ფრაგმენტებსაც იპოვიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გალდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9687; ევრო - 3.1076
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6263;
100 რუბლი - 5.1940; თურქული ლირა - 0.1721;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7523;
1000 სომხური დრამი - 7.1363.

ამინდი 15 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge